ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

24 სექტემბრიდან
„ახალი თაობა“
+
საქართველოს ისტორია
10 ლარი




ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 25 სექტემბერი, 2012 №228 (5918) ფასი: 30 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# შსს-მ კომპრომატები ააფრიალა

ბიძინა ივანიშვილი: „რაღაც შეთითხნილია, რაღაცას მაიმუნობენ“ გვ. 3



## „ქართული ოცნება“: „ნაციონალებმა „ბოევიკთა“ 10-კაციანი ჯგუფი შემოიყვანეს“ გვ. 4



## ეკა ზღულაძე: „არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარება შსს-ს პრიორიტეტია“ გვ. 7



გვ. 4

## ჟურნალისტებს საარჩევნო უბნებზე არ დაუშვებენ?!

## ბოკერია მოსკოვში არ წასულა გვ. 4





## ლუკა კურტანიძე: „ეს ხელისუფლება აუცილებლად აგებს პასუხს!“ გვ. 3

ვაფრთხილებ, ლუკა-ელდარ კურტანიძე ამ მოღალატე ხელისუფლებას, ბოლო ამოსუნთქვამდე შევებრძოლები და სიცოცხლის ფასად მოვუტან გამარჯვებას საქართველოს!

## ბაკურ ბაკურაძე: „ქვეყანა დაბოლმილი სადისტებით არის სავსე“ გვ.6

## მამუკა არეშიძე: „ხელისუფლების ბრალდებებს სერიოზულად აღარავინ აღიქვამს“



გვ. 2



გვ. 2

## გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ პროვოკაცია იგეგმება

21 სექტემბრიდან
„ახალი თაობა“
+
რობერტ ფიშერი
8 ლარი




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**7** გორის ცენტრში ნილბიანებმა აქტივისტებს უმოწყალოდ სცემეს

**10** დუშეთში დეპუტატობის კანდიდატის ძმამ „ქართული ოცნების“ წევრს სცემა

**7** კასპში ახალგაზრდებს საცემად ქუჩებში დასდევენ

**10** 25-დღიანი პატიმრობა „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბში ცოცხის შეგდებისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამუკა არეშიძე: „ხელისუფლების ბრალდებებს სერიოზულად აღარავინ აღიქვამს“

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან**

*— ბატონო მამუკა, რამდენიმე დღე ბოდიშის მოხდის რეჟიმში იყო ჩვენი ხელისუფლება, თუმცა დღეს ვხედავთ, რომ კვლავ იერიშზე გადმოვიდნენ, რატომ წამოდგა ასე უცებ ფეხზე სააკაშვილის რეჟიმი?*

— ფეხზე იმიტომ წამოდგა, რომ მას მანერა აქვს ასეთი ქცევის, რომ არ შეიმჩნიოს არაფერი, იმიტომ რომ უკანდასახევი გზა ამ თვალსაზრისით არც აქვთ. რომ შეიმჩნიოს და თავის მართლების რეჟიმში ჩადგეს, როგორც თვითონ თვლიან, ეს პროცესი გაიწელება და კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ამიტომ სულ შეტევაში უნდა იყოს. თუმცა, ადრინდელისგან განსხვავებით, დღევანდელი შეტევა სხვისი თამაშის წესებით ხდება მაინც. აქედან გამომდინარე, ამ შეტევას თავის მართლების ელემენტები აქვს სერიოზული. გუშინდელი პრეზიდენტის განცხადებისა არ იყოს, იმის თაობაზე, რომ ბელგიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ შემთხვევის გამო არავინ გადააყენებდა ორ მინისტრს. უნდა გითხრათ, რომ ეს მტკნარი სიცრუეა, განსაკუთრებით კი — ბელგიის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში იქ მთელი მთავრობა გადადგებოდა და არაერთხელ მომხდარა ასეთი შემთხვევა. ამ ყველაფერს მაინც თავის მართლების ელემენტები აქვს. ახლა რაც შეეხება ფეხზე წამოდგომას, ფეხზე წამოდგომას თუ დავარქმევთ რეპრესიებს, მაშინ შეიძლება დავარქვათ ამას ფეხზე წამოდგომა. რეალურად ეს არ არის ფეხზე წამოდგომა. ეს არის, უბრალოდ, საზოგადოების გაჩუმების მცდელობა. ახლა საქმე ისეა, რომ აღარც ცდილობენ, გადაფარონ სხვა მოვლენებით ეს კონკრეტული უბედურება, რაც საზოგადოებამ ნახა. ხელისუფლება, ალბათ, ხვალიდან უკვე დაიწყებს იმ ფირების დემონსტრირებას, რომელიც აპრობირებულია და რომელიც არაერთხელ გაუკეთებია ხელისუფლებას.

*— არაერთხელ გაკეთდა უკვე განცხადება, რომ კომპრომატების ფრიალი დაიწყება. რამდენიმე უკვე გაამჟღავნა კიდეც ხელისუფლებამ, რომ არსებობს დაქირავებული ბინები, რომელიც იარაღით არის სავსე და ასე შემდეგ.*

— ესეც იქნება და ყველაფერს შეეცდებიან, დაადასტურონ შემდეგი გარემოებებით: რუსეთთან კავშირი ოპოზიციისა, რუსეთი რომ აფინანსებს და წარმართავს აქ სიტუაციას, მეორე, კავშირი ოპოზიციის კრიმინალებთან და მესამე — ეს ყველაფერი დაგვირგვინდება იმით, რომ ოპოზიცია გეგმავს, ერთი მხრივ, სამხედრო გადატრიალებას და, მეორე მხრივ, რუსების შემოყვანას. აი, ძირითადად ამაზე იქნება აგებული კომპრომატები ამ დღეების განმავლობაში.

*— ამას ხომ აღარავინ დაიჯერებს, ბატონო მამუკა?*

— საქმე ის არის, რომ ისინი თავისას ეცდებიან. დაიჯერებენ თუ არა, ეს მეორე საკითხია. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, საზოგადოებაში, განსაკუთრებით რეგიონებში, შეიძლება ეს ბევრმა დაიჯეროს. დაიჯერონ ნაწილობრივ მერყევმა ადამიანებმა. რაც შეეხება უცხოურ წარმომადგენლობებს საქართველოში, მათში ბევრია ისეთი, რომელიც სიამოვნებით დაიჯერებს ამას. შეგნებულად დაიჯერებს. ხაზს ვუსვამ — შეგნებულად, იმიტომ რომ ამ ადამიანების დიდი ნაწილი, რომლებიც საქართველოში მუშაობენ, მხოლოდდამხოლოდ არის დაკავებული თავისი ხელფასის შენარჩუნების პროცესით და ცნობილი სამი მაიმუნის პრინციპით მოქმედებს, სამწუხაროდ — არ მესმის, ვერ ვხედავ, ვერ ვლაპარაკობ.

*— ბატონო მამუკა, რომელიმე ოპოზიციონერი ლიდერის დაპატიმრების მცდელობაც ხომ არ იქნება?*



— ოპოზიციონერი ლიდერის დაპატიმრების მცდელობა, ალბათ, არ იქნება. ეჭვი მეპარება, იმიტომ რომ ბევრი მათგანი არის დეპუტატობის კანდიდატის მანდატით აღჭურვილი და, აქედან გამომდინარე, ამის გაკეთება არც აწყობთ და არც სჭირდებათ. ტაქტიკა სხვა რამეში მდგომარეობს. მათი ტაქტიკა ასეთია, რომ ოპოზიციას გამოაცალონ დასაყრდენი, ანუ რიგითი წევრები დააპატიმრონ ან სხვა პროვოკაციული მეთოდით იმოქმედონ. მაგალითად, გუშინ ჩემს შტაბის უფროსის მოადგილეს შეასხეს სახეში სითხე და გამოიყვანეს მწყობრიდან. აბსოლუტურად ვერაფერს ვერ ხედავს ეს ადამიანი, მთელი ღამე საავადმყოფოში გავატარეთ. ჩვენი ექვსი მანქანა გამოიყვანეს მწყობრიდან სხვადასხვა მეთოდით. სხვა შემთხვევაში იჭერენ ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. გუშინ კრწანისის ორგანიზაციის წარმომადგენელი დააკავეს. ზოგან მობილური ჯგუფის ხელმძღვანელს, ზოგან, უბრალოდ, აქტივისტს და ასე შემდეგ. ეს ტოტალური დაჭერები ორი დღეა, რაც დაიწყო.

*— წავლენ ყველაფერზე?*

— ყველაფერზე წავლენ. მე დიდი ალბათობით ვამბობ ამას და ყოველთვის ვამბობდი. სერიოზულად არ აღიქვამდნენ ჩემს ნათქვამს. ესენი ომის საშიშროების შექმნაზეც არ დაიხევენ უკან. ყოველ შემთხვევაში, მე ამის მზადებას ნამდვილად ვხედავ. ჯერ მიდის საზოგადოების იდეოლოგიური მომზადება, რომ რუსეთი აპირებს აგრესიის განხორციელებას და ეს იწყება ისეთი ტიპის განცხადებებიდან, როგორიც გაავრცელა საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შემდეგ სხვა ტიპის იდეოლოგიური დამუშავება მოსახლეობის, მერე ექსცესი საზღვარზე და მერე უკვე ომი. ახლა რა მინდა გითხრათ, იცით? ჩემი ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთი აგრესორი არ არის და მისგან საფრთხეს არ უნდა ველოდოთ. ეს ასეა ნამდვილად, რუსეთი აგრესორია და მისგან საფრთხეს უნდა ველოდოთ, მაგრამ აქ მეორე საკითხია, სჭირდება თუ არა ახლა ეს რუსეთს? ახლა ეს რუსეთს ნამდვილად არ სჭირდება. ეს რუსეთს დასჭირდება წლის ბოლოს, დეკემბრის ბოლოს, შეიძლება — იანვრის დასაწყისში, როდესაც, სავარაუდოდ, შეიძლება ირანის კრიზისი გაღრმავდეს. ახლა არ სჭირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, საქართველოს ხელისუფლებას სჭირდება. მე მინდა, რომ ჩემი სიტყვები აბსოლუტურად სწორად იყოს გაგებული. აქ არის უბრალოდ დროში ცდომილება და მცდელობა, რომ რუსული სამხედრო მანქანის მიზნების რეალიზაცია დაჩქარდეს.

*— სულ საუბრობენ ოპოზიციის კავშირებზე რუსეთთან, თუმცა ბევრი წყარო ადასტურებს, რომ გიგა ბოკერია უკვე რამდენიმე დღეა მოსკოვში იმყოფება და მაღალი თანამდებობის პირებთან მართავს შეხვედრებს.*

— მე არ ვიცი, ვისთან მართავს გიგა ბოკერია შეხვედრებს, ამას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ, მაგრამ ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა, კულუარულად შეექმნა ურთიერთობის რეჟიმი რუსეთის ხელისუფლებასთან და ეს ხდებოდა საქართველოსთვის ყოველთვის არასასიკეთოდ. ეს არის ფაქტი. რუსეთის ხელისუფლებაში საკმაოდ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებსაც ძალიანაც სიამოვნებთ ის მდგომარეობა, რაც საქართველოშია და სიამოვნებით დაეხმარებოდნენ ამ ხელისუფლებას ძალაუფლების შენარჩუნებაში. უბრალოდ, არის მეორე ფრთაც რუსეთის ხელისუფლებაში, რომელიც ორგანულად ვერ იტანს სააკაშვილს და, აქედან გამომდინარე, გარკვეული ძალთა დაპირისპირებაც კი მიდის.

*— ბატონო მამუკა, ვხედავთ, რომ ხელისუფლება უკანდახევას არ აპირებს. ყველასთვის მოულოდნელად, იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ არჩევნების დღეს ფოტო და ვიდეო გადაღება უნდა აიკრძალოს უბნებზე. თუ ასე მოხდა, ნიშნავს იმას, რომ წავა ტოტალური გაყალბება?*

— დიახ, თუ ასე მოხდა, წავა ტოტალური გაყალბება. პრინციპში, ეს ვიდეოგადაღება მაშინ იყო ერთგვარი ჟესტი დასავლეთის მიმართ და დააწყნარეს დასავლური ორგანიზაციების წარმომადგენლები. დღეს კი უკვე მიხვდნენ, რომ მათ თუ იქ ვიდეოგადაღება დაუშვეს, გაყალბების შანსი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და ამით შეშფოთდნენ. ხვდებიან, რომ წაგებული აქვთ არჩევნები და ამიტომ უნდათ, ჩარხი უკუღმა დაატრიალონ. ჩარხს ვერ დაატრიალებენ უკან, თუ იქ კამერები იქნება, ამიტომ გადაწყვიტეს, შეცვალონ ეს გარემოება.

*— ბატონო მამუკა, ყველანაირი მეთოდით ცდილობენ, დაძაბულობა გამოიწვიონ და პროვოკაციაზე წამოაგონ თუნდაც ის ახალგაზრდები, რომლებიც დღეს საპროტესტო აქციებს მართავენ.*

— ერთდროულად რამდენიმე პარალელურ პროცესს ავითარებენ. ერთი მხრივ, ცდილობენ, სამხედრო კონფლიქტი შექმნან, მეორეა სახალხო მღელვარებისა და საგანგებო მდგომარეობის ფონზე არჩევნების გადატანა. აქვთ კიდევ მესამე, მეოთხე და ასე შემდეგ გეგმები. ყველაფერზე რეაგირება უნდა მოასწრო ადამიანმა და ყველაფერზე უნდა გქონდეს წინასწარ პასუხი გამზადებული. ზოგიერთზე არის პასუხი წინასწარ, ზოგიერთებზე პასუხი ჯერჯერობით ნედლია. ძალიან რთული ვითარებაა, შენ არჩევნების პროცესით კი არ ხარ დაკავებული, დაკავებული ხარ ჩიორა თაქთაქიშვილის ტექსტების გარჩევით, რა თქვა და რა იგულისხმა ამის უკან. ისეთი სახელმწიფოს მომავალი რა ვთქვი, რომელიც ჩიორა თაქთაქიშვილის იდეოლოგიური პასაჟებით საზრდოობს.

*— ბატონო მამუკა, სულ რაღაც ექვსი დღე რჩება არჩევნებამდე. ვისთვის ბევრია ეს დრო და ვისთვის — ცოტა. ამ ხელისუფლების პირობებში, შეიძლება ითქვას, ეს დიდი დროა და მათ ამ პერიოდში ბევრი რამის მოსწრება შეუძლიათ.*

— გეთანხმებით, მეც ძალიან ბევრ რამეს ვვარაუდობ. საქმე იქითკენ მიდის, რომ პროცესები ბევრად გაუარესდება. ჩემთან გარდაბანში როგორც ღამე ტურებს, ისე უშვებენ თავისიანებს ქუჩებში. ალბათ, სხვაგანაც ასე ხდება, რომლებიც ქუჩებში დაძრწიან და არა მხოლოდ პლაკატების ჩამოხევით არიან დაკავებულნი. სპეციალური რკინის ჯოხები აქვთ, როგორც ჩანგლები, ისეთი, იმისთვის, რომ პლაკატები მარტივად ჩამოხიონ. უწვალიათ, უმუშავიათ და უფიქრიათ, თუ რა გაეკეთებინათ. შემდეგ მეორე საკითხია — ისინი ყველა მათთვის უცნობ თუ ნაკლებად ნაცნობ ახალგაზრდულ ჯგუფს კონფლიქტში იწვევენ. გარდაბანში ძირითადად ეს კონფლიქტი არის ეროვნებათა შორის, იქ ახლა ვერ განსაზღვრავ, რომელი ჯგუფია ქართველების და რომელი — აზერბაიჯანის. ამიტომ ამ პროცესსაც ხელოვნურად იწვევენ. მყარი ტერმინი შექმნა იქ ნაციონალურმა მოძრაობამ — ქართველს არ ჰქვია ქართველი, ქართველს ჰქვია სვანი. თუ დაპირისპირებაა, ეს დაპირისპირება აუცილებლად არის სვანებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

*— ამ ყველაფრის ფონზე ჩვენ ვხედავთ, რომ ხალხი მაინც გამოჰყავს სააკაშვილს, არა აქვს მნიშვნელობა, დააშინეს თუ ფული გადაუხადეს, იმავე ზუგდიდში მანაც შეძლო, რომ ხალხი გამოეყვანა. პრობლემა თავად ჩვენს საზოგადოებაშია.*

— გამოდის, ზოგს შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი, ნაწილი კი ისეა დაშინებული, რომ დაკარგული აქვს ყოველგვარი სამოქალაქო ღირსება. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ნაციონალურ მოძრაობას ვინმემ მხარი არ უნდა დაუჭიროს, დაუჭიროს, ვისაც უნდა, ვინც ფიქრობს, რომ ეს მოძრაობა არის წარმატებული და იდეოლოგიურად მისი მხარდამჭერია, ბარაქალა მას და ყოჩაღ. მე ვლაპარაკობ იმაზე, ვინც შიშის გამო დამცირებული, სულში ჩაფურთხებული, იძულებულია, წავიდეს და მერე სახლში მისულმა უკმაყოფილება გამოთქვას. იგივე მასწავლებლები, რომლებიც ჩვენთან მოდიან და აცხადებენ, ოჯახები გვენგრევა ამის გამო, მოვდივართ სახლში სკოლიდან და უცებ დაგვირეკავენ, არიქა, რუსთავში გავარდი, არიქა, ახალციხეში უნდა წახვიდე... ამ ხალხს ვეუბნები, რას მოდიხართ ჩვენთან, რა გინდათ?! მოდიხართ, რომ გული მოიფხანოთ?! ჩვენთან მოსვლას აჯობებს, დატოვოთ ეს სამსახურები, ხოლო თუ ასე მათხოვრულად გინდათ ყოფნა, მაშინ იყავით, ჩვენთან რაღას მოდიხართ და რაღას გველაპარაკებით. ზოგი ამბობს, რა ვქნა, ჩემი შვილი ჯარშია, ჩემი შვილი აქ მუშაობს. ერთადერთი, ვისაც ვპატიობ, არის ის, ვისი შვილიც პატიმარია, დედის გულია და ვერ უბრძანებ დედის გულს და მათი მესმის. სხვა შემთხვევაში არ მესმის და რა ვქნა! დაანებე, ბოლოს და ბოლოს, იმ სამსახურს თავი, რამდენიმე დღე დარჩა! არა, სამსახურიც უნდა და თან უნდა, რომ იყოს თავზე დაფურთხებული და ღირსებაგათელილი.

*— ჩვენ ვხედავთ, რომ აქციები კვლავ განახლდა. რაიმე ექსცესებს ხომ არ ელით? რამდენად ფეთქებადსაშიშია სიტუაცია?*

— როგორ არ ველი. სულ ექსცესების რეჟიმში არ ვცხოვრობთ? ხმას ამოიღებ თუ არა ამათ წინააღმდეგ, ხარ დაპატიმრებული ან სამსახურიდან გამოგდებული. მოკლედ, ყველანაირად შევიწროებული ხარ. ექსცესურ რეჟიმში ვცხოვრობთ უკვე 8 წელიწადია. ველი და გასაკვირი არაფერია. ეს გაუთავებელი პროცესია და არ დამთავრდება, იმიტომ რომ ჩვენი საზოგადოება თავისუფალი არ არის. ჩვენ ვცხოვრობთ ამორალურ სახელმწიფოში და ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საზოგადოება ამორალურად ექცია. სამწუხაროდ, ასეა, სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. როდესაც პიროვნება ამორალურია, საზოგადოება ამორალურია, სახელმწიფოც ამორალურია და, სახელმწიფო რომ ამორალურია, ლაფანყურმა დაამტკიცა გადასარევად. ასეთ პირობებში, საბოლოო ჯამში, ჩვენ მომავალი არ გვაქვს.

# გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ პროვოკაცია იგეგმება

## მის სახლს სამართალდამცავები უთვალთვალებენ

თეა მარჩვაიძე

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა უკვე წლებია სააკაშვილს ოპოზიციაში უდგას. სახმინისტრის პოსტი მან 2006 წელს დატოვა. პოსტის დატოვება მას ირაკლი ოქრუაშვილთან დაპირისპირების გამო მოუწია.

იქიდან მოყოლებული ხაინდრავა ოპოზიციაშია. ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები ამბობენ, რომ ის სააკაშვილს ძალიან უშლის ნერვებს.

გოგა ხაინდრავა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მკვახე განცხადებებით. ამ განცხადებებს ის აკეთებს როგორც მედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში, ასევე საჯარო გამოსვლებში.

ბოლო პერიოდი ყოფილი სახელმწიფო მინისტრი აღარ ჩანდა. დროებითი გაუჩინარება ხმაურიანად აღნიშნა. მან სააკაშვილის ხელისუფლებაზე გადაიღო ფილმი „დემოკრატიის შუქურა“. ფილმი დოკუმენტური ხასიათისაა და საზოგადოებისთვის საკმაოდ საინტერესო ფაქტებს შეიცავს. ხაინდრავას ფილმი ეკვე იხილა საზოგადოებამ. მას დიდი რეზონანსი მოჰყვა.

ამბობენ, რომ ამ ფილმმა ხელისუფლება და პირადად სააკაშვილი ძალიან გააბრაზა. სწორედ ამ ფილმს უკავშირებენ ხაინდრავას სახლთან სპეცრაზმის გამოჩენას.



გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლუკა კურტანიძე: „ეს ხელისუფლება აუცილებლად აგებს პასუხს!“

კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ლუკა კურტანიძის დაკავებას აპირებდა. მმართველმა გუნდმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ძალადობაში დაადანაშაულა. მათ რომ დაუჯეროს კაცმა, კურტანიძე ლაგოდეხში ნაციონალების მხარდამჭერებს აწიოკებს.

თეა მარხვაიძე

წლების წინ კურტანიძეს და მმართველ გუნდს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. მერე მათი გზებიც გაიყო. კურტანიძე ოპოზიციაში აღმოჩნდა. ჯერ სახალხო კრებიდან და დემოკრატიული მოძრაობიდან უშლიდა ნერვებს ხელისუფლებას. ახლა კი ოცნებიდან უშრობს სისხლს მმართველ გუნდს.

რამდენიმე დღის წინ ლუკა კურტანიძემ სკანდალური განცხადება გაავრცელა. მან თქვა, რომ ხელისუფლება მის ლიკვიდაციას გეგმავს. ხელისუფლებამ ამ განცხადებას ბოდვა უწოდა.

ოპოზიციაში კი ამას საკმაოდ სერიოზულად აღიქვამენ. განსაკუთრებით ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების გამო. ბოლო დღეებში ხელისუფლებამ ოპოზიციაზე ლამის ნადირობა გამოაცხადა. ამ დღეებში სასტიკად სცემეს „ქართული ოცნების“ აქტივისტებს. მეოცნებეები ანგარიშსწორების გაძლიერებას ვარაუდობენ. ამ დროს კი ხელისუფლება ლუკა კურტანიძეს ადანაშაულებს ძალადობაში.

ნაციონალების შერისხულმა ლუკა კურტანიძემ გუშინ მედიით საგანგებო განცხადება გაავრცელა. მან პოლიციას ხალხის მხარეს გადასვლა ურჩია.

– მე, ელდარ-ლუკა კურტანიძე მთელი ჩემი ცხოვრება, დღემდე, ცრემლითა და სისხლით ვემსახურე და ვემსახურები ჩვენს სამშობლოს, საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მის გამთლიანებას და გაძლიერებას! 25 წელი ვიბრძოლე მსოფლიო არენაზე და მთელ მსოფლიოს ვუდასტურებდი, ჩემი გამარჯვებით, საქართველოს ერთიანობას და აღვნიშნავდი, აფხაზეთში დაბადებული, გაზრდილი შვილი, რომ აფხაზეთი საქართველოს დროშისა და ჰიმნის განუყოფელი ნაწილია. მთელი მსოფლიო აღიარებდა საქართველოს გამარჯვებას და დროშის მაღლა ამართვისას და ჰიმნის აჟღერების დროს, ფეხზე იდგა მსოფლიოს ყველა ერის წარმომადგენელი. ვამაყობ და ვიამაყებ იმით, რომ სიცოცხლის ფასად ვემსახურე ჩვენს სამშობლოს --საქართველოს! ეგრეთ წოდებული ხელისუფლება და მისი ბინძური, ნაძირალა პრეზიდენტი და მინისტრები, მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს ერისა და ღვთის წინაშე; იმ უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანების, ათასობით უკანონოდ დაპატიმრებული, სუ-



ლამოგლეჯილი, დამცირებული და სულის შეძრამდის გაუსაძლისი ტკივილით სავსე ადამიანების წინაშე... ხმამაღლა ვაფრთხილებ ძალოვნებს, ჩამოშორდით საქართველოს მოღალატეებს და ემსახურეთ ჩვენს ქვეყანასა და ქართველ ერს! საქართველოს ყველა ღირსეულ მაცხოვრებელს! ვაფრთხილებ, ლუკა-ელდარ კურტანიძე ცოცხალი ამ ნაძირალა მოღალატე ხელისუფლებას, ბოლო ამოსუნთქვამდე შევებრძოლები და სიცოცხლის ფასად მოვუტან გამარჯვებას საქართველოს და მთელს მსოფლიოს დავანახვებ იმ ღირსეულ ბრძოლას, რომელიც სამაგალითო იქნება მთელი ერისთვის! ბინძურ ხელისუფალთ ვაფრთხილებ, ჩემი ლიკვიდირებით ან განეიტრალებით, მიიღებთ დაუნდობელ პასუხს 1 ოქტომბერს, როცა მთელი ერი გაგრიყავთ და ყველა ტკივილზე აგებთ პასუხს ღვთისა და კანონის წინაშე, – ნათქვამია კურტანიძის მიმართვაში.

ხელისუფლებას მისი განცხადება გულთან ახლოს არ მიუტანია. რა გასაკვირია. შარშან, 26 მაისის დარბევის დროს ის კინაღამ მოკლეს. ხელისუფლებამ ამ ფაქტის გამოძიებაც კი არ ისურვა. და ახლა იქით სდებენ კურტანიძეს ბრალს ძალადობაში, რაც, სხვა თუ არაფერი, უხერხულია.

# გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ პროვოკაცია იგეგმება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გუშინ, დილით გავრცელდა ცნობა, რომ ხაინდრავას სახლთან სოდის თანამშრომლების მანქანებია მობილიზებული. ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ ხელისუფლება მის დაპატიმრებას აპირებდა.

სხვათა შორის, 2 დღის წინ პრეზიდენტმა ის კიდევ ერთხელ მოიხსენია. მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაში ისევ ციხის კადრების გამო არის ამბავი ატეხილი. ხალხი შოკიდან ვერ გამოსულა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ეს კადრები შეგნებულად იყო შეგროვებული და მისი გამოქვეყნება ბოროტი მიზნებისთვის გადაწყვიტეს.

ეს კადრები სააკაშვილმა გოგა ხაინდრავასაც დაუკავშირა. საზოგადოებამ უკვე ნახა, როგორ აუპატიურებენ პატიმარს ცოცხით. ოპოზიცია ხელისუფლებას ცოცხით უპირებს გასტუმრებას.

სააკაშვილმა გაიხსენა ხაინდრავას რამდენიმე თვის წინ გაკეთებული განცხადება. როგორც პრეზიდენტი ამბობს, ხაინდრავამ თქვა, რომ ხალხი ამ ხელისუფლებას ცოცხებით გაისტუმრებდა.

როდის ახსენა ხაინდრავამ ცოცხი, ვერავინ გაიხსენა. ცოცხის ხსენებას თავად ხაინდრავაც უარყოფს.

– ცოცხი არასდროს მიხსენებია, ვამბობდი, რომ ხალხი ამ ხელისუფლებას კომბლებით გაისტუმრებდა. და ასეც იქნება ალბათ, – აცხადებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი.

ხაინდრავა მართლაც კომბლებზე აკეთებდა აქცენტს. ამის შესახებ მან „ახალ თაობასაც“ მისცა რამდენიმე ინტერვიუ. კომბლებზე ხაინდრავა 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ საუბრობს.

სხვათა შორის, იმ დარბევის შემდეგ ხაინდრავა დააპატიმრეს. თუმცა მალევე გაათავისუფლეს, რამდენიმე საათში.

ოპოზიცია არ გამორიცხავს, რომ ხაინდრავას დაკავება ახლაც იგეგმება. არის ვარაუდი, რომ მის სახლთან ხელისუფლება პროვოკაციის მოსაწყობად არის მობილიზებული. არც იმას გამორიცხავენ, რომ ხაინდრავაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხორციელდება.

ხაინდრავას სახლთან ძალოვნების მობილიზაციის შესახებ გავრცელებულ ცნობას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ექს-მინისტრთან ჟურნალისტებიც მივიდნენ. მათ შორის იყო შალვა რამიშვილი. მისი გამოჩენის შემდეგ სოდის თანამშრომლებმა იქაურობა დატოვეს. მოგვიანებით რამიშვილი ხუმრობდა, სოდ-ის ხალხი გავყარეო.

ოპოზიცია თავის მხრივ პროვოკაციებს არ გამორიცხავს. ხაინდრავას პროვოკაციის არ ეშინია. ის თითქმის დარწმუნებულია, რომ სააკაშვილს მალე ქვეყნიდან მოუწევს გაქცევა.

სააკაშვილი კი საკმაოდ ომახიანად გამოიყურება და ამბობს, რომ მისი მოწინააღმდეგეები სასტიკად დამარცხდებიან.

# შსს-მ კომპრომატები ააფრიალა

ოპოზიცია უკვე კარგა ხანია ელოდება შსს-ს კომპრომატებს. მოლოდინი გასულ კვირას გასულმა კადრებმა უფრო გაამძაფრა, მით უმეტეს, რომ ნამინისტრალი ვანო მერაბიშვილი დაგვპირდა, მალე მაგარ კადრებს განახვებთო. როგორც მოქმედი პრემიერი ამბობს, მალე გავიგებთ, ვინ აპირებდა საქართველოში დაბრუნებას.

თეა მარხვაიძე



საარჩევნოდ ერი ასეთ ზღაპრებს მიჩვეულია. მას შემდეგ, რაც ავადსახსენებელი იგორ გიორგაძე გაიქცა, სულ მისი დაბრუნებით გვაშინებენ. ასე იქცეოდა მოქკავშირი, ასე იქცევა მოქკავშირის პირმშო ნაცმოძიც. ამბავი იგორის ლაშქრობისა არ განხორციელდა. როგორც ჩანს, იგორას ის თეთრი ტანკი გაუფუჭდა, რომლითაც საქართველოში უნდა შემოჯლიგინებულიყო.

ამჯერად იგორის ჩამოსვლით აღარ შეგვაშინებენ. ახლა სხვა ვინმეს გამონახავენ. მისი ვინაობა თითქოს გუშინ დილით უნდა გაგვეგო. მაგრამ შსს-მ სულ სხვა მასალები ააფრიალა. გვამცნეს, რომ ბოროტი ოპოზიციონერები პოლიციელების მოსყიდვას აპირებდნენ.

ჩვენში დარჩეს და არც ეს არის ახალი ამბავი. ამ ბრალდებით ბოლო თვეების მანძილზე რამდენიმე ოპოზიციონერი დააკავეს.

გუშინ მშობლიურმა შსს-მ გვამცნო, რომ სამინისტრომ საჯარო მოხელეების, მათ შორის პოლიციის თანამშრომლების მოსყიდვის მცდელობის ფაქტებთან დაკავშირებით რამდენიმე პირი დააკავა.

როგორც გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე დეტექტივმა ლევან წიკლაურმა განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილია საჯარო მოხელეების, მათ შორის პოლიციის თანამშრომლების მოსყიდვისა და მოსყიდვის მცდელობის ფაქტები, რამაც ბოლო პერიოდში ხშირი ხასიათი მიიღო.

შსს-მ ჟურნალისტებს მოსყიდვის ფაქტების ამსახველი შესაბამისი ოპერატიული ვიდეოჩანაწერიც წარუდგინა.

– აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ დაკავებული არიან გიორგი ღერკელაშვილი, გიორგი ძოწენიძე, კობა სამხარაძე და პოლიციის თანამშრომელი რომან მაისურაძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოლიციის მოსყიდვის ერთ-ერთ ფაქტზე ამოღებულია პოლიციელისათვის შეთავაზებული 50 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება სხვა პირების მიმართაც მიმდინარეობს. იმის გამო, რომ ერთ-ერთი მოსყიდვის საქმეში ფიგურირებს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ალეკო ტაბატაძე, შსს მასთან დაკავშირებულ მასალებს რეაგირებისათვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადასცემს, – აღნიშნა ლევან წიკლაურმა.

როგორც შს მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნულ ფაქტებში მონაწილეობს ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილი, რომელიც ჯერჯერობით დაკავებული არ არის.

შსს-ს მიერ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ პრესსამსახური განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

– პრეზიდენტის ანონსის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო პროვოკაციული და ფალსიფიცირებული ჩანაწერების გავრცელება. დეტალების შეფასებისგან შეგნებულად ვიკავებთ თავს, რადგან ვთვლით, რომ საზოგადოებისთვის ყველაფერი ნათელია.

ხელისუფლება დაკავებულია ფალსიფიცირებული სერიალის შეთხზვით, რომლის გაგრძელება, სავარაუდოდ, მრავალჯერ ნანახი „სცენარების“ გამეორება იქნება.

სიცრუე და ძალადობა იყო და რჩება სააკაშვილის ხელისუფლების მთავარ იარაღად პოლიტიკურ ოპონენტებთან და ქართველ ხალხთან ბრძოლაში.

ამ ძალადობრივ პოლიტიკას წერტილი დაესმება 1 ოქტომბერს, როდესაც ქართველი ხალხი დაასრულებს მოძალადე რეჟიმის არსებობას და ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდება წესრიგი და სამართლიანობა, – ნათქვამია განცხადებაში.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, შსს-ს მიერ, დღეს გავრცელებული კადრები სიცრუე და შეთითხნილია. ამის შესახებ, ივანიშვილმა გუშინ, სამტრედიის მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ, ჟურნალისტებს განუცხადა.

– რაღაც შეთითხნილია, რაღაცას მაიმუნობენ. ამბობდნენ, რომ რაღაცეები აქვთ. აბსოლუტურად მოგონილია. არ ყოფილა ეს და არც ასეთი შემთხვევა, რომ ჩვენ ვინმეს მოსყიდვაზე გვეზრუნა. ეს ჩვენს იდეოლოგიაში არ ყოფილა და არც ამის მსგავსი რამე. ეს არის სიცრუე. ჩემს ძმისშვილის, ჩვენი გუნდის წევრს თუ ახლობელს მსგავი, რომ განეხორციელებინა, ეს ცენტრიდან უნდა წამოსულიყო. მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს ამათი მოგონილია და ამის უკვე არავის სჯერა. ეს სიცრუე ისევ უკან დაუბრუნდებათ და ხალხის აღშფოთებას გამოიწვევს, – განაცხადა ივანიშვილმა.

შსს-ს მიერ აფრიალებულ კომპრომატებს ნაცმოძიც გამოეხმაურა. საგანგებო პრესკონფერენცია გამართა გიორგი გაბაშვილმა. ეს უკანასკნელი კარგა ხანს გაუჩინარებული იყო. ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ მას და პრეზიდენტს შორის კარგა მოზრდილმა შავმა კატამ გაირბინა.

ამ კატაზე ბოლო ხანებში აღარაფერი თქმულა. ქვეყანაში ისეთი ამბები დატრიალდა, გაბაშვილისთვის ვიღას ეცალა.

გაბაშვილი ნანახი კადრებით შეშფოთებულია, ოღონდ არა იმ კადრებით, მთელი ერი შოკში რომ ჩააგდო. გაბაშვილს გუშინ გავრცელებულმა მასალამ მოუშალა ნერვები.

დეპუტატს გონივრული ეჭვი აქვს, რომ ივანიშვილი თავის მაყუთს სახელმწიფო ინსტიტუტების საწინააღმდეგოდ იყენებს.

– შს სამინისტროს მიერ გავრცელებული მასალა ცხადყოფს, რომ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ცდილობენ, გამოიყენონ თავისი ფინანსური რესურსი – ფული იმისთვის, რომ მოახდინონ მოქმედი სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია, მეტიც, ჩართონ ისინი დანაშაულში და ფულის გადახდის სანაცვლოდ მოახდინონ დანაშაულის პროვოცირება. ეს დაუშვებელი ფაქტია, – განაცხადა ჯერ კიდევ დეპუტატმა გაბაშვილმა.

ნაციონალი დეპუტატის განმარტებით, პოლიტიკური პარტია დაკავებული უნდა იყოს თავისი ხედვების პოპულარიზაციით და არა მსგავსი ოპერაციების ჩატარებით.

– პოლიტიკური პარტია დაკავებული უნდა იყოს თავისი ხედვისა და გეგმის პოპულარიზაციით და არა მსგავსი ოპერაციების ჩატარებით, არა სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციით, არა მოქრთამვით და არა ადამიანების პროვოცირებით, რომ მათ ჩაიდინონ დანაშაული. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ „ქართულ ოცნებას“, მსგავსი ქმედებებისგან თავი შეიკავოს და ფინანსური რესურსი არ გამოიყენოს იმისთვის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებს ფუნდამენტი გამოაცალოს. ეს დაუშვებელი და საზოგადოებისთვის მიუღებელი ქმედებაა, – აღნიშნა გაბაშვილმა.

ნაციონალი დეპუტატი მეოცნებეების ქმედებებითაც არის დაზაფრული. მისი მტკიცებით, ბოლო დღეებში მეოცნებეები ძალადობაზე გადავიდნენ, რაც, გაბაშვილის თქმით, დაუშვებელია.

– ეს არის დაუშვებელი და ის, რა თქმა უნდა, აღკვეთილი უნდა იყოს. საზოგადოების ინტერესია, რაც შეიძლება მშვიდად და წყნარად ჩავატაროთ არჩევნები და საზოგადოება უკვე თავად გააკეთებს დასკვნებს, ვის უჭერს მხარს და ვის – არა, – განაცხადა დეპუტატმა.

მეოცნებეთა ქმედებებზე კომენტარები ერთი დღით ადრე ჩიორა თაქთაქიშვილმა გააკეთა. ისიც შეშფოთებული იყო.

ძალადობა, ბუნებრივია, დაუშვებელია და კარგია, ამას ნაცმოძი რომ გმობს. მაგრამ იქნებ საკუთარი ძალადობაც დაეგმოთ. „ქართული ოცნება“ ამტკიცებს, რომ ბოლო დროს მათ მხარდამჭერებზე ზეწოლა გახშირდა და, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ მარტო 23 სექტემბერს ათი ადამიანი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 23 სექტემბერს 10 პირი დააკავა. მათ შორის არიან – მამუკა ჯანანაშვილი, ზვიად საბანაძე, გიორგი ჯანქანიძე, პეტრე თავლიაშვილი, ტარიელ გურგენიძე, იაგო ქიტიაშვილი, გიორგი ნოზაძე, ზვიად იმერლიშვილი, ილია ქელეხსაშვილი და კაპიტონ (კახა) ჟორჟოლიანი.

როგორც „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, დაკავებულ პირთა უმეტესობა მათი აქტივისტია და კოალიციის რიგებში ირიცხება.

დაკავებულთა უმეტესობას ბრალად ედება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. გამონაკლისია კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში მცხოვრები მამუკა ჯანანაშვილი, რომელსაც, შსს-ს ცნობით, საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ შენახული ტყვიაწამალი აღმოაჩნდა.

სოფელ შინდისში დაკავებული ზვიად საბანაძე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის სასამართლომ 100 ლარით დააჯარიმა, ხოლო მასთან ერთად აყვანილ გიორგი ჯანქანიძესა და პეტრე თავლიაშვილს 30-30-დღიანი პატიმრობა მიესაჯათ. ადმინისტრაციული წესით შსს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინვე ტარიელ გურგენიძე დააკავეს.

პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის დაკავებული არიან იაგო ქიტიაშვილი და გიორგი ნოზაძე, რომლებიც გომისაჩხერის საავტომობილო გზის მე-10 კილომეტრზე აიყვანეს. ანალოგიური ბრალდებით ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ზვიად იმერლიშვილი და ილია ქელეხსაშვილი დააკავეს.

კაპიტონ (კახა) ჟორჟოლიანი კი შსს მესტიის რაიონის სამმართველოს თანამშრომლებმა მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრ არჩილ სოფრომაძისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების გამო დააკავეს. მას 40-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა.

# „ქართული ოცნება“: „ნაციონალებმა „ბოევიკთა“ 10-კაციანი ჯგუფი შემოიყვანეს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ საქართველოს ტერიტორიაზე ბოევიკთა 10-კაციანი ჯგუფის შემოყვანის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.



ბრიფინგი უკვე დასრულებული იყო, როდესაც მაია ფანჯიკიძე ჟურნალისტებს დაუბრუნდა და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა.

– საქართველოში შემოყვანილია 10-კაციანი ბოევიკთა ჯგუფი და არის იმის მცდელობა, ყოველივე ეს ისე წარმოაჩინონ, თითქოს მათ შემოყვანას „ქართულმა ოცნებამ“ გაუკეთა ორგანიზება. ამის შესახებ მეტს ვერაფერს გეტყვით. მე ამ ფაქტების დამადასტურებელი მასალები არ გამაჩნია, თავადაც ნახეთ, რომ ბრიფინგის დასრულების შემდეგ კოალიციის ერთ-ერთმა წევრმა მომაწოდა ეს ინფორმაცია, ხოლო მას, თავის მხრივ, სანდო წყარომ შეატყობინა ამის შესახებ, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, კოალიცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დღის განმავლობაში ეს ინფორმაცია დაზუსტდეს. მან კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინასაარჩევნოდ არეულობა და პროვოკაციები „ქართულ ოცნებას“ ხელს არ აძლევს.

„ქართულ ოცნებას“ არჩევნების ჩაშლის არავითარი ინტერესი არ აქვს. ჩვენ პირველივე დღიდან ვაცხადებთ, რომ ჩვენი მიზანია დემოკრატიული, მშვიდობიანი არჩევნებით შევცვალოთ არსებული ხელისუფლება.

არეულობა, ბოევიკები, პროვოკაციები იმათ აძლევთ ხელს, ვისაც არჩევნებში გამარჯვების იმედი არ აქვთ. დღეს ჩვენ გამარჯვებაში დარწმუნებული ვართ. „ბოევიკების“ თემა ხელისუფლების მიერ ჩვენ წინააღმდეგ დაგეგმილი მორიგი სიცრუე და პროვოკაციაა, – დასძინა მაია ფანჯიკიძემ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მალე ძალიან ბევრი დრო ექნება იმისთვის, რომ თავისი დადგმული და გადაღებული სერიალები კარგად გადაათვალიეროს. ამის შესახებ ძიძიგურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ოპერატიული მასალის კომენტირებისას განუცხადა.

– გადაბირება გვინდოდა და ვერ გადავიბირეთ, ხომ?! ვერ მოვახერხეთ, არა?! რა ვქნათ, ყველა ველოდებოდით, რომ ხელისუფლების მიერ უნიჭო „სერიალები“ იქნებოდა დადგმული. წერონ და იკითხონ ახლა. ეს არის უსინდისო და მატყუარა ხალხი, ამათი ერთი სიტყვაც არ დაიჯერება. 8 წელია ამ სერიალებს გვთავაზობენ. შეინახოს ეს მასალები სააკაშვილმა, ძალიან მალე უამრავი დრო ექნება – დაჯდეს და უყუროს. ეს ერთი და იგივე სტილი უკვე სასაცილოა, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

ძიძიგურის თქმით, საქართველოში „ქართული ოცნების“ მიერ 10 „ბოევიკის“ შემოყვანა ხელისუფლების მიერ დადგმული საპნის ოპერების გაგრძელებაა.

– სად არის აქ ლოგიკა? რაში სჭირდება „ბოევიკები“ ძალას, რომელიც არჩევნებში ისედაც იმარჯვებს?! ჩვენ კოალიციის შექმნის პირველივე დღიდან ვაცხადებთ, რომ გვინდა არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლა. ეს 10 „ბოევიკი“ კი სააკაშვილის მახინჯი ფანტაზიების მორიგი გამოვლინებაა და მჯერა, რომ საზოგადოებას ამაზე ადეკვატური რეაქცია ექნება, – დასძინა ძიძიგურმა.

ფანჯიკიძის განცხადებით ბოლო 3 დღეში, მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრად ეკა ზღულაძე დაინიშნა კოალიცია „ქართული ოცნების“ 20-მდე მხარდამჭერია დაკავებული, – განაცხადა კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ. მისივე თქმით, წინა კვირას „ქართული ოცნების“ წევრებისა და მხარდამჭერების მიმართ არაერთი ზეწოლის ფაქტიც გამოვლინდა.

–კოალიციის გარდაბნის შტაბის ხელმძღვანელის მოადგილეს – ზურაბ დვალს სახლის სადარბაზოსთან უცნობი პირები დახვდნენ და სახეში მჟავა შეასხეს. მისი მდგომარეობა მძიმეა, თვალზე გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, კოალიციის მხარდამჭერმა ოთარ ბალანჩივაძემ ავტომანქანით გადაადგილებისას ნახა, როგორ ხევდა რამდენიმე პირი მაჟორიტარობის კანდიდატის შოთა ხაბარელის პლაკატებს. ბალანჩივაძემ მიუთითა, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ. საუბრისას აღმოჩნდა, რომ პლაკატების ჩამომხევები პოლიციელები იყვნენ. მათ ოთარ ბალანჩივაძე ადგილზევე დააკავეს. შემაშფოთებელია, რომ პლაკატების ჩამოხევის პროცესში, უშუალოდ პოლიციელები მონაწილეობენ. ეს არა მარტო საარჩევნო კოდექსის, არამედ კონსტიტუციის დარღვევაცაა. – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს ორი დღის წინ მომხდარ ფაქტზეც აცნობა.

– გორიდან კასპში ტაქსით გადაადგილდებოდა კოალიციის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი ილია ნონიაშვილი. სოფელ სასირეთთან ტაქსს გადაუდგა ჯიპის მარკის ავტომობილი. უცნობმა პირებმა ილია ნონიაშვილი ძალით გადმოსვეს ტაქსიდან და სასტიკად სცემს. – ამბობს ფანჯიკიძე.

როგორც კოალიციაში აცხადებენ, – კოალიციის მხარდამჭერის მამუკა ჯანაშვილის სახლი გუშინ 15-მდე პოლიციელმა ორდერის გარეშე გაჩხრიკა და ერთ-ერთ უჯრაში რამდენიმე ტყვია აღმოაჩინა. თუმცა ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მათ დაინახეს, რომელმა პოლიციელმა ჩადო ტყვიები უჯრაში. აქვე ვიტყვი, რომ მამუკა ჯანაშვილი პოლიციის მაიორია და მას ტაბელური იარაღის ტარების უფლება აქვს, თუმცა იარაღი არ აქვს. მისი დაკავებაც პოლიტიკური ანგარიშსწორებაა, – დასძინა მაია ფანჯიკიძემ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტის შესახებ კოალიციამ უკვე აცნობა უწყებათშორის კომისიას და შესაბამისი რეაგირება მოითხოვა.

– „მორიგი პროვოკაცია ხელისუფლების მხრიდან!“ – ასე აფასებს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ძალოვანი უწყების მიერ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებს. მისი თქმით, საჯარო მოხელეების მოსყიდვა კოალიციის სტრატეგია არასდროს ყოფილა. ივანიშვილი ასევე კატეგორიულად უარყოფს საქმეში მისი ძმიშვილის მონაწილეობას.

– რაღაც შეთითხნილია, რაღაცას მამაძაღლობენ. ეს იგეგმებოდა და პრინციპში, ამას ამბობდნენ კიდეც. აბსოლუტურად მოგონილია. არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს მოსყიდვა გვეცადა. ეს ჩვენი იდეოლოგიის ნაწილი არასდროს ყოფილა. რაც შეეხება იმას, ძმიშვილი იქნება საქმეში ჩართული, ახლობელი თუ გუნდის წევრი, მას დავალებას ცენტრიდან უნდა აძლევდნენ. გიმეორებთ, ჩვენ მსგავსი არაფერი ჩაგვიდენია. ეს არის სიცრუე. ეს ისევ მათ დაუბრუნდებათ და ისევ ხალხის გალიზიანებას გამოიწვევენ. ჩვენგან კი ამ ფაქტს საპასუხო რეაქცია აუცილებლად მოჰყვება, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კოალიცია „ქართული ოცნება“ იმედს გამოთქვამს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოიჩენს კეთილგონიერებასა და საარჩევნო უბნებზე ვიდეოგადაღებების შესაძლებლობას არ აკრძალავს.

ამის შესახებ ტრადიციულ ბრიფინგზე კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა.

„ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე სოზარ სუბარმა წინასაარჩევნოდ არსებულ დარღვევებზე ისაუბრა და კახა ქორქოლიანის დაკავების დეტალებზე გაამახვილა ყურადღება.

– ერთი კვირის წინ არჩილ სოფრომაძესთან, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელია კახა ქორქოლიანს შეკამათება მოუვიდა. ამის მიზეზი მესტიაში საჯარისო ნაწილისთვის გახსნილი სარჩევნო უბანი იყო, რომელიც უწყებათაშორისი კომისიის ჩარევის შედეგად გაუქმდა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ დროისთვის კახა ქორქოლიანი არჩილ სოფრომაძის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ბრალდებითაა დაკავებული, რაც აბსურდია და ასეთ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. ამ ფაქტის უამრავი მოწმე არსებობს.

აღნიშნულმა ხალხის მღელვარება გამოიწვია და მათ მესტიაში გზა გადაკეტეს. სიტუაციის განსამუხტად, ხელისუფლებამ გამოიყენა საჯარისო ნაწილები. ჩვენ მივმართეთ უწყებათაშორის კომისიას. მისი რეაგირების შემდგომ ხელისუფლებამ აღნიშნული უარყო და ისინი მესაზღვრეებად გამოაცხადა. თუმცა ესეც დარღვევაა, რადგან სასაზღვრო დეპარტამენტის უშუალო მოვალეობა საზღვრის დაცვაა. – განაცხადა სუბარმა.

# ბოკერია მოსკოვში არ წასულა

ნათია ხურცილავა



– რუსეთის ფედერაციის მხრიდან როგორც დესტაბილიზაციის, ასევე პროვოკაციის მცდელობის საფრთხე, ცხადია, არსებობს. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ – ნინო კალანდაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან რუსეთის საჯარისო შენაერთების გაძლიერებულ კონცენტრაციაზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ძალიან დროული და მკაცრი შეფასება გააკეთა, ეს მხოლოდ მისასალმებელია.

– გვახსოვს 2008 წელს, ომის დროს, რა შედეგი მოიტანა ადეკვატური და დროული რეაგირების არარსებობამ შესაბამისი საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არაერთხელ გაუკეთებია განცხადება, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან როგორც დესტაბილიზაციის, ასევე პროვოკაციის მცდელობის საფრთხე, ცხადია, არსებობს. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, – ნინო კალანდაძემ განაცხადა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე გამოეხმაურა საქართველოს ელჩის ბრიტანეთში გიორგი ბადრიძის ნათქვამს აქციის მონაწილეების მიმართ. ელჩს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავშეუკავებლობისთვის საყვედური გამოუცხადა.

– უნდა ვაღიარო, რომ ძალიან უსიამოვნო ინციდენტს ჰქონდა ადგილი. უსიამოვნოს ყველა თვალსაზრისით. მათ შორის, იმის გათვალისწინებითაც, რომ ემიგრანტებმა საქართველოს წარმომადგენელს მიაყენეს შეურაცხყოფა, რაზეც მან სათანადო თავშეკავება ვერ გამოიჩინა და შესაბამისი შეურცხყოფით უპასუხა. მიუხედავად იმ ფაქტორის გათვალისწინებისა, რომ ბოლო პერიოდში ყველა მოქალაქე ემოციური გავლენის ქვეშ იმყოფება, მივიჩნევთ, რომ საქართველოს ელჩს მეტი თავშეკავება მართებდა და ამიტომ სამინისტრომ მას საყვედური გამოუცხადა, – აღნიშნა ნინო კალანდაძემ.

– ბოკერიას მოსკოვში ვიზიტთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია, ყველას გვესმის, რომ აბსურდია. ეს ვილაცამ გაავრცელა იმისთვის, რომ ფიქრობდა, ამას რეზონანსული გამოხმაურება ექნებოდა. ეს ვიზიტი არ დასტურდება, ბოკერია საქართველოში იმყოფება. მას არც არასდროს ჰქონია მიზნად, ამ ვითარებაში რუსეთში ჩასულიყო, – განაცხადა კალანდაძემ.

# ჟურნალისტებს საარჩევნო უბნებზე არ დაუშვებენ?!

ნათია ხურცილავა

**მოგვიწევს თუ არა ჟურნალისტებს არჩევნების დღეს დასვენება? აიკრძალება თუ არა პირველ ოქტომბერს ფოტო-ვიდეო გადაღება? ეს იყო ის კითხვები, რომლებზეც პასუხს მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები პირადად ცესკოს თავმჯდომარისგან ზურაბ ხარატიშვილისგან ითხოვდნენ.**



არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩევნო კოდექსში დაგეგმილ ფოტო და ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს აპროტესტებენ.

არასამთავრობოების განცხადებით, ამ ცვლილებით მედიასაშუალებებს ერთმევათ ყველანაირი საშუალება, დააფიქსირონ რაიმე სახის დარღვევა საარჩევნო უბანზე. მათივე თქმით, ამ ქცევით ამომრჩეველს უფრო ვაშინებთ და მის უფლებას ვარღვევთ. ამიტომ ზედმეტი შეზღუდვების შემოღება საჭირო არ არის.

ცესკო აღნიშნული ცვლილების აუცილებლობას იმით ასაბუთებს, რომ მოქალაქის უფლება უფრო მეტად იქნება დაცული და ის შეძლებს, საკუთარი არჩევანი მშვიდად, კამერების გარეშე გააკეთოს.

ამ არგუმენტს არ ეთანხმებიან არასამთავრობოები და აცხადებენ, რომ მსგავსი სახის განცხადება არ ჩაითვლება დასაბუთებულ არგუმენტად.

არასამთავრობოების კითხვაზე, თუ ვინ არის საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების ინიციატორი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა განაცხადა: – არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე თავადაც წინააღმდეგი ვიყავი, კოდექსში რაიმე ცვლილება შესულიყო, თუმცა, 13 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, მუდმივად მუშაობს ამ თემაზე და უახლოეს საათებში გაგაცნობთ ჩვენს საბოლოო გადაწყვეტილებას. – ამბობს ხარატიშვილი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ზურაბ ხარატიშვილი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებს დღის წესრიგიდან იმ დადგენილების მოხსნის პირობას ვერ აძლევს, რომლითაც შესაძლოა საარჩევნო უბნებზე, ფოტო და ვიდეოგადაღება აიკრძალოს.

– ვხედავ რეალურ საშიშროებას, რომ მუდმივი გადაღება საარჩევნო უბანზე მნიშვნელოვნად დააშინებს ამომრჩეველს და აქტივობას შეამცირებს. გარდა ამისა, ამ პუნქტის ამოღებაზე რეკომენდაცია თავის დროზე ეუთო-სა და ვენეციის კომისიის დასკვნებში ჩაიწერა. გარდა ამისა, გეთანხმებით, რომ დაუშვებელია სრულიად აიკრძალოს საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღება, თუმცა მე არ ვარ მინისტრი, რომელიც ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას, დადგენილების მიღების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ, რადგან მოგეხსენებათ კომისია 13 კაცისგან შედგება და გადაწყვეტილებებიც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება, – განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# რატომ გვჭირდება ქალები პოლიტიკაში?

2012 წლის 18-21 ივნისს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) დაკვეთით ჩატარდა ფოკუს ჯგუფების კვლევა, რომლის მიზანიც იყო ქალის როგორც პოლიტიკოსის მიმართ საქართველოში არსებული განწყობების და დამოკიდებულებების შესწავლა.

კვლევით დადგინდა, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება ქალის პოლიტიკაში ჩართულობასთან დაკავშირებით.

მოსახლეობის აზრით, ქართულ პოლიტიკაში ქალები ძალიან მცირედ არიან წარმოდგენილნი და უნდა მოხდეს ქალების რიცხვის ზრდა როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თვითმმართველ ორგანოებში.

საზოგადოება ასევე მიუთითებს, რომ პოლიტიკოსისათვის აუცილებელი გარკვეული პიროვნული თვისებები ქალებს უფრო მეტად აქვთ, ვიდრე მამაკაცებს, კერძოდ:

- **ქალები დიპლომატიურები არიან, კონსესუსის მიღწევა ადვილად შეუძლიათ;**
- **ქალები დემოკრატიულები და მშვიდობისმოყვარენი არიან;**
- **ქალებს გულთან ახლოს მიაქვთ ადამიანთა გასაჭირი;**
- **ქალები დანაპირებს არ ივიწყებენ;**
- **ქალები ნაკლებად აგრესიულები არიან და საკუთარ მოსაზრებას ხისტად არ ახვევენ სხვას თავზე;**
- **ქალები გულწრფელები არიან;**
- **ქალები წინდახედულები და ფრთხილები არიან, კორუფციაში ადვილად არ ერთვებიან;**
- **ქალები კარგი ორგანიზატორები არიან.**

მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ამ თვისებების გამო, ქალებს შეუძლიათ უკეთესობისკენ შეცვალონ პოლიტიკა:

## ჩვენ გვჭირდება ქალები პოლიტიკაში!



## ქალები პარლამენტში

საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტერ საპარლამენტო კავშირი"-ს მიერ 2012 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებს პარლამენტში ქალების რაოდენობით.

წყარო: http://www.ipu.org/pdf/publications/wmnmap12_en.pdf

| | | |
|---|---|---|
| 1. | რუანდა | 56.3% |
| 2. | ანდორა | 50.5% |
| 3. | კუბა | 45.2% |
| 4. | შვედეთი | 44.7% |
| 5. | სეიშელი | 43.8% |
| 6. | ფინეთი | 42.5% |
| 7. | სამხ. აფრიკა | 42.3% |
| 8. | ნიდერლანდები | 40.7% |
| 9. | ნიკარაგუა | 40.2% |
| 10. | ისლანდია | 39.7% |
| 11. | ნორვეგია | 39.6% |
| 12. | მოზამბიკი | 39.2% |
| 13. | დანია | 39.1% |
| 14. | კოსტა რიკა | 38.6% |
| 15. | ანგოლა | 38.2% |
| 16. | ბელგია | 38.0% |
| 17. | არგენტინა | 37.4% |
| 18. | ესპანეთი | 36.0% |
| 19. | ტანზანია | 36.0% |
| 20. | უგანდა | 35.0% |
| 21. | ნეპალი | 33.2% |
| 22. | გერმანია | 32.9% |
| 23. | ეკვადორი | 32.3% |
| 24. | ტიმორ-ლესტე | 32.3% |
| 25. | ახალი ზელანდია | 32.2% |
| 26. | სლოვენია | 32.2% |
| 27. | ბელარუსი | 31.8% |
| 28. | გაიანა | 31.3% |
| 29. | მაკედონია | 30.9% |
| 30. | ბურუნდი | 30.5% |
| 31. | პორტუგალია | 28.7% |
| 32. | ტრინიდადი და ტობაგო | 28.6% |
| 33. | შვეიცარია | 28.5% |
| 34. | მექსიკა | 28.4% |
| 35. | ავსტრია | 27.9% |
| 36. | ეთიოპია | 27.8% |
| 37. | ავღანეთი | 27.7% |
| 38. | ტუნისი | 26.7% |
| 39. | სამხრ. სუდანი | 26.5% |
| 40. | ბოლივია | 25.4% |
| 41. | ერაყი | 25.2% |
| 42. | ლაოსი | 25.0% |
| 43. | ლუქსემბურგი | 25.0% |
| 44. | კანადა | 24.8% |
| 45. | ავსტრალია | 24.7% |
| 46. | სუდანი | 24.6% |
| 47. | ნამიბია | 24.4% |
| 48. | ვიეტნამი | 24.4% |
| 49. | ლესოტო | 24.2% |
| 50. | ლიხტენშტეინი | 24.0% |
| 51. | ხორვატია | 23.8% |
| 52. | პოლონეთი | 23.7% |
| 53. | ყირგიზეთი | 23.3% |
| 54. | ლატვია | 23.0% |
| 55. | ფილიპინები | 22.9% |
| 56. | სენეგალი | 22.7% |
| 57. | პაკისტანი | 22.5% |
| 58. | მალავი | 22.3% |
| 59. | გაერთიანებული სამეფო | 22.3% |
| 60. | სინგაპური | 22.2% |
| 61. | მავრიტანია | 22.1% |
| 62. | ჩეხეთი | 22.0% |
| 63. | ერიტრეა | 22.0% |
| 64. | სერბეთი | 22.0% |
| 65. | უზბეკეთი | 22.0% |
| 66. | იტალია | 21.6% |
| 67. | პერუ | 21.5% |
| 68. | ბოსნია და ჰერცოგოვინა | 21.4% |
| 69. | ჩინეთი | 21.3% |
| 70. | ბულგარეი | 20.8% |
| 71. | კაპე ვერდე | 20.8% |
| 72. | დომინიკი | 20.8% |
| 73. | კამბოჯა | 20.3% |
| 74. | ისრაელი | 20.0% |
| 75. | ესტონეთი | 19.8% |
| 76. | მოლდოვა | 19.8% |
| 77. | ბანგლადეში | 19.7% |
| 78. | ჰონდურასი | 19.5% |
| 79. | ლიტვა | 19.1% |
| 80. | ელ-სალვადორი | 19.0% |
| 81. | მონაკო | 19.0% |
| 82. | ტაჯიკეთი | 19.0% |
| 83. | საფრანგეთი | 18.9% |
| 84. | მავრიტუსი | 18.8% |
| 85. | საბერძნეთი | 18.7% |
| 86. | სან მარინო | 18.3% |
| 87. | ინდონეზია | 18.2% |
| 88. | ყაზახეთი | 17.8% |
| 89. | არაბეთის გაერთ. ემირატები | 17.5% |
| 90. | სან-ვინსენტი და გრენადინები | 17.4% |
| 91. | მაროკო | 17.0% |
| 92. | ვენესუელა | 17.0% |
| 93. | თურქმენეთი | 16.8% |
| 94. | აშშ | 16.8% |
| 95. | სენტ-ლუსია | 16.7% |
| 96. | აზერბაიჯანი | 16.0% |
| 97. | სლოვაკეთი | 16.0% |
| 98. | ტაილანდი | 15.8% |
| 99. | ალბანეთი | 15.7% |
| 100. | კორეის დემოკრ. რესპუბლიკა | 15.6% |
| 101. | ბურკინა ფასო | 15.3% |
| 102. | ირლანდია | 15.1% |
| 103. | ზიმბაბვე | 15.0% |
| 104. | კორეის რესპუბლიკა | 14.7% |
| 105. | ჩილე | 14.2% |
| 106. | გაბონი | 14.2% |
| 107. | თურქეთი | 14.2% |
| 108. | კამერუნი | 13.9% |
| 109. | ჯიბუტი | 13.8% |
| 110. | რუსეთი | 13.6% |
| 111. | შვეიცარია | 13.6% |
| 112. | გრენადა | 13.3% |
| 113. | გვატემალა | 13.3% |
| 114. | ნიგერია | 13.3% |
| 115. | სიერა ლეონე | 12.9% |
| 116. | ჩადი | 12.8% |
| 117. | იამაიკა | 12.7% |
| 118. | ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა | 12.5% |
| 119. | დომინიკა | 12.5% |
| 120. | მადაგასკარი | 12.5% |
| 121. | პარაგვაი | 12.5% |
| 122. | სირია | 12.4% |
| 123. | მონტენეგრო | 12.3% |
| 124. | ბაჰამის კუნძულები | 12.2% |
| 125. | კოლუმბია | 12.1% |
| 126. | ურუგვაი | 12.1% |
| 127. | სურინამი | 11.8% |
| 128. | ზამბია | 11.5% |
| 129. | რუმინეთი | 11.2% |
| 130. | ტოგო | 11.1% |
| 131. | კოტ დივუარი | 11.0% |
| 132. | ინდოეთი | 11.0% |
| 133. | იაპონია | 10.8% |
| 134. | იორდანია | 10.8% |
| 135. | კვიპროსი | 10.7% |
| 136. | ანტიგუა და ბარბუდა | 10.5% |
| 137. | მალაიზია | 10.4% |
| 138. | მალი | 10.2% |
| 139. | ბაჰრეინი | 10.0% |
| 140. | ბარბადოსი | 10.0% |
| 141. | ეკვატორული გვინეა | 10.0% |
| 142. | გვინეა ბისაუ | 10.0% |
| 143. | კენია | 9.8% |
| 144. | ლიბერია | 9.6% |
| 145. | უნგრეთი | 8.8% |
| 146. | კირიბატი | 8.7% |
| 147. | მალტა | 8.7% |
| 148. | ბრაზილია | 8.6% |
| 149. | ბუტანი | 8.5% |
| 150. | პანამა | 8.5% |
| 151. | სომხეთი | 8.4% |
| 152. | ბენინი | 8.4% |
| 153. | განა | 8.3% |
| 154. | ალჟირი | 8.0% |
| 155. | უკრაინა | 8.0% |
| 156. | ბოცვანა | 7.9% |
| 157. | კუვეიტი | 7.7% |
| 158. | გამბია | 7.5% |
| 159. | კონგო | 7.3% |
| 160. | ნიგერია | 6.8% |
| 161. | სომალი | 6.8% |
| 162. | სენტ-კიტსი და ნევისი | 6.7% |
| 163. | ტუვალუ | 6.7% |
| 164. | საქართველო | 6.6% |
| 165. | მალდივის კუნძულები | 6.5% |
| 166. | შრი-ლანკა | 6.5% |
| 167. | ჰაიტი | 4.2% |
| 168. | სამოა | 4.1.% |
| 169. | მონღოლეთი | 3.9% |
| 170. | ტონგა | 3.6% |
| 171. | მიანმარი | 3.5% |
| 172. | ლიბანი | 3.1% |
| 173. | კომოროსი | 3.0% |
| 174. | მარშალის კუნძულები | 3.0% |
| 175. | ირანი | 2.8% |
| 176. | ეგვიპტე | 2.0% |
| 177. | ვანუატუ | 1.9% |
| 178. | ომანი | 1.2% |
| 179. | პაპუა ახალი გვინეა | 0.9% |
| 180. | იემენი | 0.3% |
| 181. | ბელიზი | 0.0% |
| 182. | მიკრონეზია (ფედ. შტატები) | 0.0% |
| 183. | ნაურუ | 0.0% |
| 184. | პალაუ | 0.0% |
| 185. | ყატარი | 0.0% |
| 186. | საუდის არაბეთი | 0.0% |
| 187. | სოლომონის კუნძულები | 0.0% |
| 188. | კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ინფორმაცია არ მოიპოვება) | |

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

IFES International Foundation for Electoral Systems

*მომზადებულია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით. შინაარსზე პასუხისმგებელია არჩევნების სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) და იგი შესაძლოა არ ასახავდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.*

# ბაკურ ბაკურაძე: „ქვეყანა დაბოლმილი სადისტებით არის სავსე“

## „სააკაშვილი ახალ ბაჩოს გამოაცხობს“

თამარ ნინიძე

**დემოკრატიული მოძრაობის პიარტექნოლოგიების სპეციალისტი ბაკურ ბაკურაძე აცხადებს, რომ სააკაშვილმა სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით უნდა დააპატიმროს ყველა ის პირი, ვისაც ჯალათების ჯგუფი გამოეპარა და აღიარებენ, რომ სისტემური მარცხი მოხდა. ახალაიების ნაცვლად კი მოკლე ხანში სააკაშვილი ახალ ბაჩოს გამოაცხობს.**



„ახალი თაობა“ **ბაკურ ბაკურაძეს** ესაუბრა.

*— ამ დღეებში მთელი საქართველო შეძრულია იმ კადრებით, რომლებიც გავრცელდა გლდანის საპყრობილეში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით. მაგრამ ხელისუფლების რეაქცია იყო აბსოლუტურად არაადეკვატური. ნუგზარ წიკლაურმა თქვა, რომ ახალაია რეფორმატორია და გაიკვირვა, რატომ უნდა დაიჭირონ. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?*

— მინდა, გულწრფელი თანაგრძნობა გამოვხატო ყველა წამებული პატიმრისა და მათი ოჯახების წევრებისადმი. ძალადობა დაუშვებელია. საზოგადოებამ ნახა ეს ამაზრზენი კადრები. ძალადობა დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანის მიმართ, მიუხედავად იმისა, რა სახის დანაშაული უნდა ჰქონდეს ამ ადამიანს ჩადენილი. მე მგონი, ამ მასშტაბით შოკში ბოლო ოცი წლის მანძილზე მსოფლიო კადაფის მკვლელობამ ჩააგდო და ახლა – საქართველოში პატიმრების წამებამ. როცა ჩვენს თანამოქალაქეს მშვიდობიან პერიოდში წლების მანძილზე ამას უკეთებს არჩეული ხელისუფლება, ეს ნონსენსია. ყველა ქვეყანაში ხდება შემთხვევები, მაგრამ ასე არ იმართება პენიტენციური სისტემა დემოკრატიულ ქვეყანაში. ეს არის სისტემური ფორმა ციხეების ხელში აყვანისა და დაჭერის, ტერორისა და დაშინების. ეს სისტემა წლების მანძილზე ჩამოყალიბდა და ამაზე საუბრობს მუდმივად ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია. ნუგზარ წიკლაურის ნააზრევზე კომენტარის გაკეთება არ მინდა. ეს მათი მესიჯბოქსია. სინანულს რომ არ გრძნობენ, ეს ცნობილი მათი მდგომარეობაა. დიდი ხანია სინანულს არ გრძნობს, არც 2008 წლის აგვისტოს ომის გამო, არც 26 მაისთან დაკავშირებით. ეს ადამიანი ხელისუფლებაში მოვიდა და მაშინვე განაცხადა, ყველანი ციხეში, ესროლეთ ხელი არ აგიკანკალდეთ, ნულოვანი ტოლერანტობა და ეს არის მისი ცნობილი მოწოდებები. არიან მოძებნილი ნაძირალები, რომლებიც ცდილობენ, აამონ საკუთარ მესიას. არა მგონია, ხელისუფლების ყველა წევრმა იცოდა, რა ხდებოდა პენიტენციურ სისტემაში. თანამდებობრივად ვილაცებს, ალბათ, არ ეკუთვნით ამის ცოდნა, თუმცა ყურმოკვრით მთელმა საქართველომ იცოდა. ამიტომ სასაცილოა იმის თქმა ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლებისგან, რომ მათ არაფერი იცოდნენ. როგორც ახლა ირკვევა, ხელისუფლების ვერტიკალმა იცოდა ამ კადრების შესახებ და მათ დადგეს ეს სპექტაკლი, აჩვენეს. მათ ეს შოკი კაბინეტებშივე გადაიტანეს. გაბრაზებულნი და შოკირებულნი იყვნენ, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ეს ამბები საჯაროდ იქნა გამოტანილი და მთელმა მოსახლეობამ ნახა. უცხოეთისთვის თვალის ასახვევად სააკაშვილმა მოხსნა მინისტრი კალმახელიძე და ახალაიამ გადადგომაზე განცხადება დაწერა. ჩვენი ევროპელი მეგობრების ორდღიანი შოკისა და აღშფოთების რეჟიმიდან გადავედით იმაზე, რომ თურმე ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს დგამს და ეს საკადრო ცვლილებები საკმარისია. სააკაშვილი სრულ დეგენერატობას ამბობს, რომ საფრანგეთი საქართველოსგან სწავლობს პენიტენციური სისტემის მართვას, ამის შესახებ ფრანგებს რომ გაეგოთ, მთელი პარიზი დღეს ქუჩაში იქნებოდა. ევროპას პირდაპირ შეურაცხყოფას აყენებს.

*— რამდენად ადეკვატური იყო ევროპის რეაქცია ამ კადრებზე, მით უმეტეს, ამას წინ უძღოდა „ქართული ოცნების“ შეხვედრები დიპლომატებთან და მუდმივად იმაზე საუბარი, რომ ციხეებში ურთულესი მდგომარეობაა?*

— დემოკრატიული მოძრაობა, 2009 წლიდან მოყოლებული, აწვდის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას. ქალბატონი ნინო უშუალოდ ხვდება ევროპაში მაღალი თანამდებობის პირებს. ეს იქიდან ვიცი, რომ ჩვენ ვამზადებთ ამ დოკუმენტაციას. სტრასბურგის ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში საქართველოდან შესული საჩივრების რაოდენობა ადამიანის უფლებების შელახვისა და წამების ფაქტებთან დაკავშირებით პირველ ადგილზე დგას. მე ვსაუბრობ სახელმწიფო დოკუმენტებზე. ასობით ასეთი მტკიცებულებაა ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით. 26 მაისთან დაკავშირებით გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებების საკითხებში კატასტროფული განცხადება გააკეთა. მიხეილ სააკაშვილი მწარედ იქნება გაკრიტიკებული საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებში, მაგრამ ჩვენს ევროპელ მეგობრებს არ სურთ, ყველაფერს დაარქვან თავისი სახელი. თუ ვნახავთ 26 მაისის შემდგომ დასკვნებს, დაახლოებით ასეთი რამ წერია, აღწერილობა არის ყველაფრის, ოლონდ სახელი არ ჰქვია, შეფასება არა აქვს. აღწერილობაში რაც არის, ეს პირდაპირ იმაზე მიუთითებს, რომ არის დიქტატურა. თავზე ხელის გადასმის პოლიტიკამ ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს უწერია დასკვნაში, რომ საქართველოში ყვავის ელიტური კორუფცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ხელისუფლება არის კორუმპირებული. დასავლეთი მუბარაქს ოცდაათი წელი უჭერდა მხარს, კადაფს ორმოცდაორი წელი უჭერდა მხარს, სადამ ჰუსეინს რამდენი წელი უჭერდა მხარს, თანაც სადამი მისი დახმარებით იქნა ხელისუფლებაში მოსული. არის მსოფლიოს ინტერესები და არის სახელმწიფოს ინტერესები. სახელმწიფოს ინტერესი უნდა დაიცვას ხალხმა. იმას, რაც ხდებოდა ციხეებში, რუსთაველზე უყურებდა მთელი ჩვენი ელიტური საზოგადოება და არ ადგნენ და გამოვიდნენ ქუჩაში ამის გასაპროტესტებლად. ახლა მეცინება, როცა მიამიტურად აცხადებენ, რომ თურმე აღშფოთებულნი არიან.

*— მარტო ბაჩო ახალაიას გადადგომა და კალმახელიძის წასვლა საკმარისი იყო. საზოგადოების მოთხოვნა უნდა ყოფილიყო მთელი ვერტიკალის გადაყენება. გირგვლიანის საქმის შემდეგ კუდის თავმჯდომარე დათა ახალაია გადადგა, მაგრამ მალევე მოგვევლინა საკვანძო თანამდებობებზე.*

— ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ახალაიების კლანი წავა თუ მოვა. საერთოდ რომ გაქრნენ ქვეყნიდან ბაჩო, დათა და როლანდ ახალაიები, სააკაშვილი უცებ ახალ ბაჩოს გამოაცხობს. ამიტომ არის საუბარი იმაზე, რომ ეს ყველაფერი სისტემურია, ეკა ზღულაძე ნაკლები ცივსისხლიანია ან კალმახელიძე იყო ნაკლებად ცივსისხლიანი? როცა ძალადობრივი სისტემა მუშაობს, ქვეყანაში ყოველთვის მოიძებნებიან ნაძირალები, რომლებიც დაკვეთებს შეასრულებენ. დაბოლმილი სადისტებით სავსეა ქვეყანა.

*— ზუსტად ამაზე მინდა გკითხოთ. სააკაშვილი აქეზებდა წლების განმავლობაში ამ ნაძირალებს თავისი მოწოდებებით – ნულოვანი ტოლერანტობა და ყველანი ციხეში. საზოგადოება მხოლოდ ბაჩოთი უნდა დაკმაყოფილდეს თუ აქ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ბოკერიას, ადეიშვილს, მერაბიშვილს ანუ ვერტიკალის წვერში მყოფებს?*

— სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ თქვენ მიერ ჩამოთვლილ პერსონებს სააკაშვილის მეთაურობით. მანკიერი რეჟიმი უნდა მოშორდეს ქვეყანას. სხვაგვარად არაფერი შეიცვლება. ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელსაც, დავით აღმაშენებლისა და ილიას გარდა, გვყოლია ბერბიჭაშვილი, რომელიც დადიოდა და ტრაბახობდა, ამ ხელით მოვკალი ილია ჭავჭავაძეო. ილუზიებში ნუ ვიქნებით, რომ მხოლოდ კარგები გვყოლია. იმ კარგების მკვლელებიც ჩვენი გაზრდილები იყვნენ. არ შეიძლება, ერთხელ მაინც კარგებმა იმძლავრონ? სააკაშვილის ძალადობრივმა რეჟიმმა მიიღო დარტყმა, მაგრამ, ამავე დროს, სააკაშვილმა კარგად იცის, როგორ უნდა შეფუთოს ეს სკანდალი, რომ დასავლეთს დაანახვოს, როგორ სწორ ნაბიჯებს დგამს, მეორე მხრივ კი ქართველები კიდევ უფრო დააშინოს. დააკვირდით, რა ხდება გარეთ – დაერივნენ „ქართული ოცნების“ წევრებს და სამ დღეში ოცი ადამიანი დაიჭირეს. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა უკანონოდ დაკავებულს, პოლიტიკურ ნიადაგზე მათ შორის. როცა 18 მაისიდან ხალხის ოჯახებიდან აყვანა დაიწყეს, ერთი სოლიდარობის განცხადება არ გაუკეთებია საზოგადოების გარკვეულ ნაწილს. ახლა საზოგადოებამ დინჯი ნაბიჯები უნდა გადადგას და არ დაუშვას შეცდომები.

*— რას გულისხმობთ შეცდომებში?*

— მშვიდად მივიდეთ არჩევნებამდე. ერთი კვირაა დარჩენილი. ეს რომ იყოს არასაარჩევნო წელი, მაშინ მეც უყოყმანოდ გავიდოდი ქუჩაში. ვერავინ იტყვის ჩემზე, ქუჩაში გასვლის ეშინიაო, მაგრამ ახლა უნდა მივიდეთ არჩევნებამდე. არეულობა ახლა ძალიან აწყობს სააკაშვილს. მიხარია, რომ სტუდენტობა გამოფხიზლდა და სოლიდარობას ვუცხადებ მას. მოთხოვნები უნდა იყოს სწორი, გავაკეთოთ სწორი არჩევანი ანუ ხუთიანის არშემოხაზვა. პირადად ჩემი ხმის დაცვას ვაპირებ. ყველამ უნდა დაიცვას თავისი ხმა.

*— ტუღუშს რაიმეს შეცვლის თავი აქვს ამ სისტემაში?*

— გადასარევი ფორმულირება გააკეთა ლალი მოროშკინამ, გიორგი ტუღუში იყო სუსტი სახალხო დამცველი, რომელიც გადაიქცა ლეღვის ფოთლადო.

*— კვლავ აქტუალურია 2 ოქტომბრის თემა. რა მოლოდინი გაქვთ პირადად თქვენ?*

— მე უფრო მეშინია იმის, რა იქნება 1 ოქტომბერს ღამით, უბნების დახურვის შემდეგ. ეჭვი ეპარება ვინმეს, რომ სააკაშვილი გაყალბებას შეეცდება? რაც უფრო ბრაზდება სააკაშვილი, მით უფრო ძლიერდება ძალადობაში, უფრო სადისტი ხდება და საშინელებებს ჩადის. ბატონი ბიძინა ამბობს, პირველშივე გაფორმდება ჩვენი გამარჯვებაო. დაველოდოთ მოვლენებს. მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ასე იქნება.

სააკაშვილმა თქვა, რომ ეს არის სისტემური მარცხი, რომ ჯალათების ჯგუფი გამოეპარათ. დავუჯეროთ, რომ არავინ არაფერი იცოდა, სს კოდექსი ითვალისწინებს სამსახურებრივი გულგრილობის პასუხისმგებლობას. დააპატიმროს ყველა პირი, ვისაც ეს სისტემური მარცხი გამოეპარა.

# ჟურნალისტებს საარჩევნო უბნებზე არ დაუშვებენ?!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მედია ექსპერტმა ზვიად ქორიძემ ცესკოს თავმჯდომარეს კომისიის იმ წევრის დასახელება მოსთხოვა, რომელმაც აღნიშნული საკითხი დააყენა დღის წესრიგში.

ზურაბ ხარატიშვილის თქმით, დადგენილებას ერთი კონკრეტული სახელობითი ინიციატორი არ ჰყავს და იგი ე.წ. ბრეინშტორმინგის (გონებრივი შტორმი) დროს წარმოიშვა.

— ამ დადგენილების პროექტს შეიძლება ხალხური ნაწარმოებიც ვუწოდოთ. რაც შეეხება იმას, რატომ გახდა ეს თემა აქტუალური არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, შემიძლია გითხრათ, რომ დღის წესრიგში ეს თემაზე ადრეც იდგა, თუმცა მას ფართო განხილვები არ მოჰყოლია. თუ გადაღება არ იქნება, ეს მონიტორინგის წართმევის უფლებას არ ნიშნავს. მომავალ არჩევნებზე წინა არჩევნებთან შედარებით ორჯერ მეტი დამკვირვებელია აკრედიტებული. გარდა ამისა, შეგახსენებთ საარჩევნო ადმინისტრაციას აკისრია პასუხისმგებლობა არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდეს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ვიპოვოთ კომპრომისი და შემიძლია გითხრათ, რომ დადგენილება იქნება, თუმცა ვეცდებით მივიღოთ კომპრომისული ვარიანტი, – განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

მისივე განმარტებით, რიგითი ადამიანის ქცევასა და გადაწყვეტილების მიღებაზე მისდამი მიშვერილი კამერა დიდ გავლენას ახდენს. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ხელის შეშლის ფაქტების დაკონკრეტება ამ დადგენილებაში.

— რაც შეეხება პარლამენტთან მიღწეულ პოლიტიკურ შეთანხმებას, ჩვენ არ გვაქვს ვალდებულება, დავიცვათ არასამთავრობოებსა და კანონმდებლებს შორის მიღწეული შეთანხმება, მით უმეტეს, საუბარი არ არის საარჩევნო კოდექსში არსებული ჩანაწერის გაუქმებაზე და კონკრეტულ აკრძალვაზე, უბრალოდ გვინდა ერთი ჩამოყალიბებული სახე მივცეთ ხელის შეშლის შესაძლო ფაქტებს, – აღნიშნა ხარატიშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილებით საზოგადოებას არჩევნების მონიტორინგის უფლება ერთმევა.

ზურაბ ხარატიშვილი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

— ერთი მხრივ, ჩვენ ვალდებულება გვაქვს, რომ ყველა პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველვყოთ და მეორე მხრივ, ამ პროცესმა ხელი არ უნდა შეუშალოს ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოვლენას. იმისთვის, რომ ამომრჩეველმა გადაღების პროცესი, როგორც ზეწოლა, არ განიხილოს. ფოტოვიდეო გადაღება ისე უნდა მიმდინარეობდეს უბანზე, რომ არ მიიღოს ამომრჩეველზე ზეწოლის სახე. აქამდე ეს საკითხი ასეთი სიმწვავით არ იდგა, ამ არჩევნებზე არის მცდელობა, რომ მასობრივად და დიდი რაოდენობით მოხდეს გადაღება. არ გვინდა რაღაც საკითხი დაურეგულირებელი იყოს არჩევნების დღეს.



— ამ შემთხვევაში რამდენად იქნება არჩევნები გამჭვირვალე?

— გამჭვირვალე იქნება ყველა შემთხვევაში. რადგან თითოეულ უბანზე 9-10 საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელია. 16 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია.

თამარ ჩუგოშვილი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე:

— რეალურად ეს იქნება აკრძალვა. ყოველთვის იყო შესაძლებლობა, რომ თუნდაც ტელეფონით გადაგველო, თუ რა დარღვევა ხდებოდა იმ წუთში. საარჩევნო კოდექსში ცხადად წერია, რომ გადაღება ნებადართულია. ეს საკმარისია და დამატებითი რეგულაციები საჭირო არ არის. დეკემბერში ბევრი ვიბრძოლეთ, რომ საარჩევნო კოდექსში ეს მუხლი ყოფილიყო. უცებ, არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე აღმოვაჩინეთ, რომ ცესკოს ისეთ წესებს იგონებს, რაც აკრძალვას გვიწესებს.

წინასაარჩევნოდ მედიასაშუალებების ერთი თვის მონიტორინგის შედეგებიც გახდა ცნობილი.

დიანა ჩაჩუა „ინტერნიუს – საქართველოს“ წარმომადგენელი:

– მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ მედიაში რეალურად სიძულვილის ენის არაერთ გამოვლინებას აქვს ადგილი. არ არსებობს არც ერთი მედია სეგმენტი გარდა რადიოსი, სადაც საკმაოდ აქტიურად არ ხდებოდეს სიძულვილის ენის გამოყენება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურია პრესა. შემდეგ ინტერნეტ გამოცემები და ტელევიზიები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის შემთხვევები, როდესაც თავად ჟურნალისტები არიან სიძულვილის ენის წყარო. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ბეჭდური გამოცემებისა და ინტერნეტ მედიის შემთხვევაში. თუმცა, ამის გავრცობა არ შეიძლება ყველა მედიაზე, მაგალითად, გაზეთ „24 საათზე“ და გაზეთ „ახალ თაობაზე“, სადაც ერთი თვის მონიტორინგის შედეგად არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის შემცველი კომენტარის, სტატიის ან შეფასების დაბეჭდვა.

შეხვედრაზე ასევე ცნობილი გახდა, რომ ავღანეთში სამხედრო ბაზაზე ქართველმა სამხედროებმა გუშინ დააფიქსირეს თავიანთი არჩევანი.

## დავით ბაქრაძე: „ძლიერი საქართველოსთვის მებრძოლი მთავარი არქიტექტორი მიხეილ სააკაშვილია“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის თქმით, ძლიერი საქართველოსთვის მთავარი მებრძოლი და მთავარი არქიტექტორი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. მან ეს განცხადება გურჯაანში მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა.

„ჩვენი ერთად დგომა არ არის მხოლოდ დღევანდელი დღე, ჩვენი ერთად ყოფნა არის წლები -– გატარებული შრომაში, ბრძოლაში. დიდ მადლობას გიხდით იმისთვის, რომ მთელი ამ წლების მანძილზე ერთად ვიბრძოდით იმისთვის, რომ სამუდამოდ წარსულისთვის ჩაგვებარებინა ყველა ის უბედურება, რომელიც ხდებოდა და დღესაც ხდება ჩვენს ქვეყანაში“, -– განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მან მოსახლეობას მადლობა გადაუხადა იმისთვის, რასაც ისინი აკეთებენ.

„ის, რაც ამ წლების მანძილზე გავაკეთეთ ამ ქვეყანაში, არის თქვენთვის გაკეთებული; ის, რაც ვერ გავაკეთეთ, გაკეთდება თქვენთვის და თქვენთან ერთად. საქართველომ უნდა გააგრძელოს წინსვლა, უნდა უზრუნველყოს, რომ აღარასოდეს ვიხილოთ ჩვენი შემზარავი წარსული კადრები და ეს უნდა გავაკეთოთ ყველამ ერთად. ჩვენ გავუძელით იმას, რასაც ვერ გაუძლეს ჩვენზე დიდმა ქვეყნებმა იმიტომ, რომ ხალხი გვყავს ყველაზე მაგარი და ხალხი და ხელისუფლება იდგა ერთად მთელი ამ წლების განმავლობაში. ძლიერ სახელმწიფოს ჩვენ ერთად მივაღწევთ. ახლა კი მინდა, ყველა ერთად მივესალმოთ ამ ძლიერი საქართველოსთვის მთავარ მებრძოლს და მთავარ არქიტექტორს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს“, -– განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მედიანიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიცია ოპოზიციას დაერია

გულიკო ბალაძე

**როგორც ჩანს, მოჯიდან გამოსული მიხეილ სააკაშვილი შურისძიებაზე გადავიდა, რადგან ეს ვიდეოკადრები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. ახლა ის დაერია მას, ვინც აქტიურად აპროტესტებს ციხეებში არსებულ ძალადობას.**

ახალგაზრდებიავრცელებენ ინფორმაციას, რომ პოლიციამ ჟურნალისტი ერთხელ უკვე დააკავა, ხელებზე ბორკილები დაადო, დაკითხვაზე მიიყვანა, ხოლო შემდეგ გამოუშვა და გააფრთხილა, რომ შეეწყვიტა პროტესტი.

პოლიცია კვლავ ცდილობდა ჟურნალისტის დაპატიმრებას (თუ ამ დროისათვის უკვე დაპატიმრებული არ არის). ეს არის სააკაშვილის შურისძიებისა და დაშინების მეთოდები.

– „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის" ცნობილი გახდა ჟურნალისტ მაკა დეკანოსიძის მიმართ 22 და 23 სექტემბერს სამართალდამცავების მხრიდან განხორციელებული ქმედება. პოლიციამ მაკა დეკანოსიძე დააკავა, თუმცა, მოგვიანებით გაათავისუფლა. დღეს კი სამართალდამცავები ჟურნალისტის სასამართლოს წინაშე წარდგენას ცდილობდნენ, – ნათქვამია „ახალგაზრდა ადვოკატების" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მომხდართან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს ჟურნალისტ მაკა დეკანოსიძის გაზეთი „ქართული სიტყვა".

განცხადებაში მოყვანილი მსჯელობა „ახალგაზრდა ადვოკატებს" ჟურნალისტმა თავადაც დაუდასტურა სოციალური ქსელით საუბრის დროს 22 სექტემბერს.

კერძოდ, 22 ივნისს, საღამოს, დაახლოებით 22:00 საათზე, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელთან ახალგაზრდების საპროტესტო აქცია დასრულდა, საპატრულო პოლიციამ გაზეთ „ქართული სიტყვის" ჟურნალისტი მაკა დეკანოსიძე დააკავა.

პოლიციამ ჟურნალისტი, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, ბორკილები ჰქონდა დადებული, შს სამინისტროს ეზოში მიიყვანა.

პოლიციელები „ქართული სიტყვის" ჟურნალისტს ეუბნებოდნენ, რომ უზრდელია, რადგან ის პატიმართა წამების ფაქტებს დაკავების შემდეგაც აპროტესტებდა.

პატრულმა, როგორც მაკა ამბობს, შეადგინა ოქმი, თუმცა ჟურნალისტმა მასზე ხელი არ მოაწერა და, შესაბამისად, არ იცის, თუ რა ეწერა აღნიშნულ ოქმში.

მოგვიანებით ძალოვნებმა „ქართული სიტყვის" ჟურნალისტი სახლში მიიყვანეს და გააფრთხილეს, რომ არ გამოერთო ტელეფონი, რადგან მეორე დღით, ანუ 23 სექტემბერს, დილის 10:00 საათზე დაურეკავდნენ და სასამართლოში წაიყვანდნენ.

გუშინ დილით მაკა დეკანოსიძეს ძალოვნებმა მართლაც დაურეკეს და უთხრეს, რომ მასთან ხუთ წუთში მივიდოდნენ. ამის შემდეგ ჟურნალისტმა ტელეფონი გათიშა. მასთან კომუნიკაცია ვერ ხერხდება.

გაზეთ „ქართული სიტყვის" რედაქცია მიიჩნევს, რომ ეს ინციდენტი ჟურნალისტებზე ზეწოლისა და დაშინების მორიგი მცდელობაა.

როგორც „ახალგაზრდა ადვოკატები" აცხადებენ, უცნობია, თუ რა ბრალდებით უპირებენ „ქართული სიტყვის" ჟურნალისტს სასამართლოს წინაშე წარდგენას. ამიტომაც გაზეთი „ქართული სიტყვა" და მისი მთავარი რედაქტორი, პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი მოუწოდებს ადამიანის უფლებათა დამცველებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო სექტორს, დაიცვან ჟურნალისტი!

მიხეილ სააკაშვილს ურჩევნია, ის მინისტრები წაასხას სასამართლოში, რომლებიც საზოგადოების მხრიდან ეჭვმიტანილი არიან ძალადობასა და თანამდებობრივ გულგრილობაში.

სინამდვილეში სააკაშვილს არც ერთი მინისტრი თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებია. ისინი თვითონ გადადგნენ თანამდებობიდან და მშვიდად გაერიდნენ სიტუაციას.

რა კარგია, ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში, ძალაუფლების წყალობით უკანონოდ გამდიდრდნენ, მთელი საქართველო შეურაცხყოფილია იმ სიბინძურის გამო, რასაც ციხეებში მათი სანქციით აკეთებდნენ (მოწმეები არიან, რომ უშუალოდ თვითონაც მონაწილეობდნენ პატიმართა წამებაში), პასუხისმგებლობისაგან კი თავისუფალნი არიან. რა არის ეს, თუ არა დამნაშავისათვის ხელის დაფარება? ამ დროს პოლიცია უდანაშაულო ჟურნალისტ ქალს დასდევს.

როგორც ჩანს, ნაციონალებმა რომ გაიმარჯვონ, ტრაგედიები არ აგვცდება – ყველანი, ვინც არ ვეგუებით ძალადობას, ძალადობრივ რეჟიმსა და იმ სიბინძურეს, რაც ამ ხელისუფლებამ სისტემად აქცია, სააკაშვილის შურისძიების მსხვერპლნი გავხდებით.

ხალხის აღშფოთება არ დამცხრალა. ხელისუფლება საზოგადოებრივად აქტიურ ადამიანებს დაერია და აპატიმრებს.

ამის მაგალითი ასევე დაჩი ცაგურიას დაპატიმრებაა. „ახალგაზრდა ადვოკატები გმობენ დაკავებასა და მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას.

– „ახალგაზრდა ადვოკატები" ვგმობთ დაჩი ცაგურიას დაკავებას და მასზე ძალადობას. მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება უფლებადამცველ დაჩი ცაგურიას ადმინისტრაციული პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვგმობთ მის დაკავებასა და ცემის ფაქტს, – აცხადებენ „ახალგაზრდა ადვოკატები".

„ახალგაზრდა ადვოკატების განცხადებით, „ხელისუფლება დაჩი ცაგურიას ადმინისტრაციული დაკავებით ცდილობს, გაანეიტრალოს ის საყოველთაო პროტესტი, რომელიც საქართველოს ახალგაზრდებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით თბილისში 19 სექტემბრიდან მიმდინარეობს. თუმცა, პირიქით წარმოუდგენელია, საზოგადოებრივი წინააღმდეგობა მომხდარმა შეაჩეროს.

როგორც ჩანს, სააკაშვილსა და მის ძალოვნებს ჰგონიათ, პროტესტს ძალადობით შეაჩერებენ, ჰგონიათ, ამ საერთაშორისო დონის სკანდალიდან ადვილად გამოძვრნენ, რადგან გამომზეურებულ ფაქტებს მთელი მთავრობისა (მთავარი პროკურორის ჩათვლით) და თვით სააკაშვილის გადაყენება არ მოჰყვა. რადგან ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ, ძველებურად გააგრძელეს.

„ახალგაზრდა ადვოკატები" გმობენ დაჩი ცაგურიას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მხრიდან სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევას.

– კერძოდ, სასამართლო მიღებულ გადაწყვეტილებაში დაჩი ცაგურიასთვის 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების დროს არ ეფუძნებოდა მტკიცებულებებს. სასამართლოს არ გააჩნია არავითარი სამხილი, რითაც დამტკიცდებოდა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა. სასამართლო პროცესზე არ დაკითხულან მოწმეებიც, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ მართლმსაჯულება შერჩევითი პრინციპით მოქმედებს, – განაცხადეს „ახალგაზრდა ადვოკატებმა".

„ახალგაზრდა ადვოკატების" შეფასებით, „დაჩი ცაგურიას დაკავებაც პროვოცირების გონივრულ ეჭვს ასაბუთებს და საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღემდე საზოგადოების მღელვარებას, ქუჩაში მასობრივ გამოსვლას ემსახურება და არჩევნების ჩატარებას საფრთხის ქვეშ აყენებს".

„ახალგაზრდა ადვოკატები" მოუწოდებენ მიხეილ სააკაშვილსა და მის რეჟიმს, გაათავისუფლონ დაჩი ცაგურია. თუმცა, სააკაშვილი გუშინ ჩვენ ისევ ისეთად წარმოგვიდგა, როგორიც აქამდე იყო – ის ცდილობს, საზოგადოება წინასაარჩევნოდ დააჯეროს თავისი მთავრობის ეფექტურობაში, სიმართლესა და სიწმინდეში, სამზეოზე გამოტანილი კადრები კი ვიღაცის ბოროტ საპიარო აქციად წარმოგვიდგინოს. ამ ვითარებაში ნაკლებად სავარაუდოა, სააკაშვილმა გაითვალისწინოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მოწოდება.

# ეკა ზღულაძე: „არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარება შსს-ს პრიორიტეტია"



შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ეკა ზღულაძის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტი მოახლოებული არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებაა.

„წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა ზომისა და მასშტაბის შეხვედრები გაიმართა და მათი სრული უმრავლესობა მშვიდ გარემოში ჩატარდა. ეს არის როგორც პოლიციის, ისე საზოგადოების დიდი დამსახურება და ასე გაგრძელება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია" – განაცხადა ზღულაძემ.

ზღულაძემ სასჯელაღსრულების სისტემაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ როგორც პოლიციამ შეძლო არსებული პრობლემების მოგვარება, სასჯელაღსრულების სისტემაც დაძლევს პრობლემებს.

ნიუსპრესი

# „დემოკრატიული მოძრაობის" ახალგაზრდული ორგანიზაცია ციხეებში მსჯავრდებულთა წამებას გმობს

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" ახალგაზრდული ორგანიზაცია წამების შედეგად დაღუპული ასობით პატიმრის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და მათ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს სამძიმარს უცხადებს.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის" ახალგაზრდული ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, ორგანიზაციის წარმომადგენლები თანადგომასა და თანაგრძნობას უცხადებენ ყველა პატიმარს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ.

„ქვეყნის პენიტენციალურ სისტემაში ჩამოყალიბებული არანორმალური ვითარება – პატიმრების ცემა, წამება, ფსიქოლოგიური ზეწოლა, სექსუალური ძალადობა და ა.შ. უკვე დიდი ხანია ცნობილია. რამდენიმე დღის წინ მედიასაშუალებებით გავრცელებული ამ საზარელი ფაქტების დამამტკიცებელი ვიდეომასალის ხილვამ საზოგადოების ადეკვატური აღშფოთება და ახალგაზრდების საპროტესტო აქციები გამოიწვია" – ნათქვამია განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობის" ახალგაზრდული ორგანიზაცია სტუდენტთა მშვიდობიან პროტესტს სოლიდარობას უცხადებს და ძალადობრივი პენიტენციალური სისტემის ყველა შემოქმედისა და პატიმართა წამების მონაწილე ყველა პასუხისმგებელი პირის დასჯას მოითხოვს.

„ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები აქციების მონაწილე თანატოლებს სიფრთხილისკენ მოგიწოდებთ, ვინაიდან, კარგად ვიცით თუ რაზეა წამსვლელი არსებული რეჟიმი ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ჩვენ ეს საკუთარ თავზე, „დემოკრატიული მოძრაობის" დაარსების დღიდან, არაერთხელ გვაქვს გამოცდილი. ათეულობით ჩვენი თანამოაზრე და თანაპარტიელი მოგონილი ბრალდებებით ხელისუფლებას დღემდე დაპატიმრებული ჰყავს და მათი უმრავლესობა უკანონოდ, სწორედ გლდანის მერვე საპყრობილეში იმყოფება" – აცხადებენ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ისინი იმედოვნებენ, რომ არსებული სამართლიანი საპროტესტო მუხტის არჩევნების დღემდე მიტანა და „მოძალადე რეჟიმის ქვეყნისთვის მოშორება მოხერხდება".

ნიუსპრესი

# სასჯელაღსრულების დაწესებულებებს პატრული ტოვებს

სასჯელაღსრულების დაწესებულებებს საპატრულო პოლიცია დატოვებს. სასჯელაღსრულების მინისტრის გიორგი ტუღუშის განცხადებით, სასჯელაღსრულების სისტემა სრულად კონტროლდება. მისივე თქმით, პატიმართა საცხოვრებელი პირობებიც თანდათან გაუმჯობესდება. მინისტრის თქმით, ცვლილებები გლდანის სასჯელაღსრულების მერვე დაწესებულების პარალელურად ყველგან ეტაპობრივად განხორციელდება და სისტემის რეფორმირება გაგრძელდება.

„რეფორმას ფრაგმენტული ხასიათი ნამდვილად არ ექნება და ეს მხოლოდ გლდანის დაწესებულებას არ შეეხება. სისტემაში დღეს არის რამდენიმე ვაკანსია და გაჩნდება გაცილებით მეტი, ვაპირებთ ეს სისტემა ახალი ღირსეული თანამშრომლებით დავაკომპლექტოთ. პატრული სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ტოვებს" – განაცხადა ტუღუშმა.

საპატრულო პოლიცია პენიტენციალურ სისტემაში 19 სექტემბერსს, მას შემდეგ შევიდა, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და მათზე ძალადობრივი ქმედებების ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდა.

ნიუსპრესი

# რამდენიმე სტუდენტმა პროტესტის ნიშნად სხეული დაისერა

თსუ-ს პირველ კორპუსთან მიმდინარე აქციაზე ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918-ის" წევრმა რამდენიმე სტუდენტმა საკანცელარიო დანით სხეულზე ჭრილობები მიიყენა.

როგორც ისინი აცხადებენ, ამით მათ წამების წინააღმდეგ პროტესტი გამოხატეს.

პროტესტის ამ ფორმამ სტუდენტების დანარჩენ ნაწილში გაღიზიანება გამოიწვია. მათი თქმით, აქცია ძალდობის წინააღმდეგაა მიმართული და მსგავსი ინციდენტები ყოვლად დაუშვებელია.

ნიუსპრესი

# გორის ცენტრში ნიღბიანებმა აქტივისტებს უმოწყალოდ სცემეს




24 სექტემბერს, გორში, შუადღით „ქართული ოცნების" აქტივისტები უმოწყალოდ სცემეს. 20 წლის ლადო სუჯაშვილი და გიორგი ხახაშვილი გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ ნიღბიანები ბენზინგასამართ სადგურ „გალფის" მიმდებარე ტერიტორიაზე დაესხნენ თავს. ექიმების განცხადებით, ახალგაზრდებს მრავლობითი დაჟეჟილობები აღენიშნებათ, განსაკუთრებით თავის არეში. დაზარალებულებს სტაციონალური მკურნალობა ჩაუტარდათ და სახლში გაწერეს.

„ბენზინგასამართ სადგურთან ვიდექით მე და ჩემი მეგობარი, ველოდებით სხვას. ამ დროს უკნიდან მოგვეპარნენ და დაგვიწყეს ცემა და გინება. ხელში კასტეტები ეჭირათ. ეხლა კიდევ ჩაიცვით „ქართული ოცნების" მაისურებიო. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მაინც ვერ შეგვაშინებენ" – გვითხრა ლადო სუჯაშვილმა.

„ქართული ოცნების" მაჟორიტარი კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლება არჩევნების წაგებითაა შეშინებული და მიმართავს ტერორს.

დაზარალებულების შესახებ ინფორმაცია ეუთოს სადამკვირვებლო ორგანიზაციას უკვე ეცნობა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი

# კასპში ახალგაზრდებს საცემად ქუჩებში დასდევენ



მას შემდეგ რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რიგებიდან ახალგაზრდა აქტივისტები „ქართული ოცნების" რიგებში გადავიდნენ, კოალიციის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებზე დევნა მასიურად ხორციელდება. 23 სექტემბერს, საღამოს საათებში, კოალიციის ოფისიდან გასულ 4 პიროვნებას თავს დაესხნენ და ცემა დაუწყეს.

„ქართული ოცნების" წარმომადგენელი ვახტანგ ხუციშვილი აცხადებს, რომ უცნობი პირები „ქართული ოცნების" მაისურების დანახვამ გააღიზიანა. „როდესაც სახლში ვბრუნდებოდით, ჩვენთან ერთად გოგონაც იმყოფებოდნენ. დაგვიწყეს გინება, ლანძღვა და ცემა. პროვოკაცია უნდოდათ მოეწყოთ, მაგრამ არ ავყევით" – ამბობს ხუციშვილი.

21 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის" კასპის ორგანიზაცია 8 აქტივისტმა დატოვა. მათ წითელი მაისურები გაიხადეს და გამგეობის კიბეებზე დაყარეს. მათ ნაცვლად კი „ქართული ოცნების" მაისურები ჩაიცვეს.

„ნაციონალური მოძრაობის" კასპის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე რობერტ კავთიაშვილი აცხადებს, რომ ახალგაზრდული ფრთიდან არავინ წასულა. მისი თქმით, ის ახალგაზრდები, რომლებაც წითელი მაისურები პროტესტის ნიშნად გაიხადეს, მმართველ პარტიაში შეგზავნილები იყვნენ.

„ორი პიროვნება ერთი ორჯერ იყო მოსული პარტიაში. ახალგაზრდული ფრთიდან კი არავინ წასულა" – აცხადებს „ნაციონალი" რობერტ კავთიაშვილი.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი

# „ჩვენებურებმა“ ლევილში იმღერეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვანესი საქმის განხორციელების შემთხვევაში საპატრიარქოს ტელევიზია გეგმავს დოკუმენტური ფილმის გადაღებას. იდეისა და პროექტის ავტორი კი ნინო პატარიძეა.

„ჩვენებურები“ 11 წლის წინ ცნობილმა მომღერალმა, ლოტბარმა და ანსამბლ „ერისიონის“ სოლისტმა ნუგზარ კურცხალიამ ჩამოაყალიბა. ამ 11 წლის განმავლობაში ანსამბლმა 4 ალბომი ჩაწერა, გამართა ათეულობით სოლო კონცერტი და გახდა რამდენიმე მუსიკალური კონკურსის გამარჯვებული როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. მონაწილეობა მიიღო არაერთ წარმატებულ ექსპერიმენტულ მუსიკალურ პროექტში ქართველ და უცხოელ მუსიკოსებთან ერთად.

ანსამბლისთვის წლევანდელი ზაფხული საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. ქართველმა მუსიკოსებმა მონაწილეობა მიიღეს უზბეკეთში, ქალაქ სამარყანდში გამართულ აღმოსავლური მელოდიების ფესტივალში. მუსიკალურ კონკურსზე „შარქ ტარონალარი“ მსოფლიოს 56 ქვეყნის ნარჩევი მუსიკოსები მონაწილეობდნენ. რამდენიმე ქვეყანა 3 და მეტი ჯგუფითაც იყო წარმოდგენილი. საქართველოდან აღნიშნულ ფესტივალზე მხოლოდ „ჩვენებურები“ მონაწილეობდა და კონკურსზე საპატიო მესამე ადგილიც დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ მონაწილე ჯგუფების რაოდენობას და ეს 60-ზე მეტია, საპრიზო ადგილი პრესტიჟულია. მიუხედავად ამისა, „ჩვენებურების“ წევრები მაინც მეტს ელოდნენ. კონკურსის ფორმატში არ შედიოდა მხოლოდ ფოლკლორული მუსიკა, რამაც ერთიორად გაართულა გრანპრისთვის ბრძოლა. „ჩვენებურები“ იმყოფებოდნენ ესტონეთის ქალაქ ვილიანდის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე, სადაც ორი სოლოკონცერტით წარდგნენ ესტონელი ხალხის წინაშე. მას ესწრებოდა ესტონეთის პრეზიდენტიც. მონაწილეთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს შეადგენდა და მოწვეული იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მუსიკოსები და შემსრულებლები. „ჩვენებურები“ ორჯერ ფოლკლორული სოლო პროგრამით წარდგა საერთაშორისო მსმენელის წინაშე. აღსანიშნავია, რომ „ჩვენებურების“ კონცერტები დამსწრე საზოგადოების რეკორდული სიმრავლით გამოირჩეოდა. ინდოეთში კი საქართველოს საელჩომ დამოუკიდებლობის დღე და ინდოეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან 20 წლისთავი აღნიშნა. საქართველოს ელჩმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა ნიუ დელიში, სასტუმრო „ლე მერიდიანში“ გამართულ ოფიციალურ მიღებას უმასპინძლა. ღონისძიებას მთავარი სტუმრის რანგში ესწრებოდა ინდოეთის დედაქალაქის ლეიტენანტ-გუბერნატორი, ბატონი ტაჯენდრა ქჰანა. საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეულ 400-ზე მეტ სტუმარს შორის იყვნენ ინდოეთის მთავრობის, ნიუ დელიში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მცირერიცხოვანი ქართული დიასპორის წარმომადგენლები. მიღებაზე დასასწრებად საქართველოდან ჩავიდნენ ფოლკლორულ ანსამბლ „ჩვენებურების“ წევრები და მოცეკვავეები ნინო დარახველიძე და ფრიდონ სულაბერიძე-უმცროსი. „ჩვენებურებმა“ ცოცხლად შეასრულეს ინდოეთისა და საქართველოს ეროვნული ჰიმნები. შესრულებულმა სიმღერებმა და ცეკვებმა დამსწრე საზოგადოების საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. სტუმრებმა დააგემოვნეს სხვადასხვა სახის ქართული ღვინოები და საქართველოდან მოწვეული შეფ-მზარეულის მიერ დამზადებული კერძები. ამავე ვიზიტის ფარგლებში ინდოეთის ქალაქებში ჯაიპურსა და ნიუ დელიში „ჩვენებურებმა“ სოლოკონცერტები გამართეს. ანსამბლი განსხვავებული და ქორეოგრაფიული ელემენტებით გამდიდრებული რეპერტუარით წარდგა ინდური პუბლიკის წინაშე, რამაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

უცხოეთის გარდა, „ჩვენებურები“ საქართველოს რეგიონებშიც აქტიურად მოგზაურობენ. „ჩვენებურები“ სოფელ ხოვლეს ესტუმრნენ და ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში ადგილობრივ ახალგაზრდობას შეხვდნენ, სადაც მცირე კონცერტიც გაიმართა.

– კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მედიათეკა, რომელიც შეიქმნა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დაფინანსებითა და კასპის რაიონის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, რომელიც გამოჩენილ ადამიანთა სახლ-მუზეუმების ბაზაზე საქართველოს რეგიონული მედიათეკების ქსელის შექმნას ითვალისწინებს. პროექტის სახელწოდებაა: „ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის ბაზაზე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა“. ჩვენებურების შეხვედრამ ხოვლელ ახალგაზრდებთან მეტად თბილ და მხიარულ გარემოში ჩაიარა, – განმარტავს ანსამბლის წარმომადგენელი მარი ონეზაშვილი.

ანსამბლი „ჩვენებურები“ ამჟამად შედგება რვა წევრისაგან, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, რეგიონებში დაბადებულ-გაზრდილები არიან, რაც დიდ როლს თამაშობს ანსამბლის საშემსრულებლო მანერისა და ავთენტური სასიმღერო ხასიათის განსაზღვრაში. გარდა სიმღერისა, ანსამბლის წევრები უკრავენ ქართულ ხალხურ საკრავებზე, ცეკვავენ. ანსამბლის თითქმის ყველა წევრს შეუძლია ხალხურ სიმღერაში ყველა ხმის მღერა და გამოირჩევა მისი მშობლიური რეგიონისათვის დამახასიათებელი ტემბრით. ანსამბლი რეგულარულად აწყობს ფოლკლორულ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, პარალელურად მონაწილეობს არტ-გენის ეგიდით გამართულ ექსპედიციებშიც. ამას გარდა, ანსამბლის თითოეული წევრი მუშაობს ხალხური სიმღერების ძველ ჩანაწერებზე და ამუშავებს თავისი მშობლიური რეგიონის ფოლკლორულ ნიმუშებს. ანსამბლის რეპერტუარშია როგორც წმინდა ფოლკლორული ნიმუშები, ასევე ეთნომუსიკალურ თემებზე შექმნილი სხვადასხვა კომპოზიცია. ამ მხრივ „ჩვენებურებს“ მრავალწლიანი გამოცდილება აქვს მუსიკოს ზაზა კორინთელთან (ზუმბა) ერთობლივი მუშაობისა. ამჟამად „ჩვენებურების“ შემადგენლობაში არიან რაჭის, ქიზიყის, სამეგრელოს, იმერეთის, ქვემო სვანეთის წარმომადგენლები: გიორგი გობეჯიშვილი (მუსიკალური ხელმძღვანელი, უკრავს ყველა ქართულ ხალხურ ინსტრუმენტზე, მღერის ზედა და შუა ხმებს, ცეკვავს), სოლომონ გოგაშვილი (დირექტორი, მღერის შუა ხმასა და ბანს, უკრავს ფანდურზე, ბას ფანდურსა და დოლზე), გიორგი სახოკია (ფინანსური მენეჯერი, მღერის ძირითადად კრიმანჭულს, ასევე, ზედა და შუა ხმებს და ბანს. უკრავს ფანდურზე, ბას ფანდურზე, ჩონგურზე, ჭიბონსა და დოლზე, ცეკვავს), ლევან მიქელაძე (ხმის რეჟისორი, მღერის ბანს, უკრავს როგორც ქართულ ხალხურ საკრავებზე, ასევე თანამედროვე ინსტრუმენტებზე), ბაჩუკი მუკბანიანი (მღერის ბანს, ცეკვავს), დავით ზურაბიანი (მღერის შუა ხმასა და ბანს, უკრავს ჭუნირსა და ბას ფანდურზე, ცეკვავს), ვლადიმერ ჩალაძე (მღერის სამივე ხმას, ცეკვავს) და ირაკლი აფხაიძე (მღერის შუა და ზედა ხმას, უკრავს დოლზე, დაირასა და დიპლიპიტოზე).

„ჩვენებურები“ რეგულარულად აწყობს ფოლკლორულ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლის მიზანია ფოლკლორის ზეპირსიტყვიერი, სასიმღერო და ქორეოგრაფიული ტრადიციების შენარჩუნება, მივიწყებული ნიმუშების მოძიება და აღდგენა, უნიკალური შემსრულებლების პოვნა და წარმოჩენა. ექსპედიციებს თან ახლავს ხოლმე „ჩვენებურების“ კონცერტები ადგილობრივებთან ერთად. „ჩვენებურები“ ბევრს და დიდი წარმატებით მოგზაურობს საქართველოს ფარგლებს გარეთაც. დაარსებიდან დღემდე ევროპისა და აზიის არაერთ ქვეყანაში წარმოუჩენია ქართული ფოლკლორი. ანსამბლის რეპერტუარი შედგება ორი საკონცერტო პროგრამისაგან – ფოლკლორული კონცერტი წმინდა ფოლკლორული ნიმუშებით და თანამედროვე პროგრამა, რომელიც შედგება „ჩვენებურების“ მიერ შექმნილი და დამუშავებული ეთნომუსიკალური კომპოზიციებისაგან. მათი საგასტროლო ტურნეები და ფესტივალების ნუსხა საკმაოდ მრავალფეროვანია. „ჩვენებურებს“ მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთაშორისო ფესტივალში „არტ-გენი“, საერთაშორისო ფესტივალში „ჩვენებურები“, საქართველოს კულტურის დღეების გახსნაში სამხრეთ უკრაინის ქალაქებში ოდესა, იუჟნი, მიკოლაევი, ლატვიაში, სადაც ტურნემ ლატვიის ყველა დიდი ქალაქი მოიცვა, ლატვიის დედაქალაქ რიგაში, სადაც ნატოს რიგის სამიტის დრო საქართველოს მხარდასაჭერი აქცია-კონცერტი ჩატარდა, მისი ერთადერთი მონაწილე ჯგუფი აღნიშნულ აქციაზე ანსამბლი „ჩვენებურები“ იყო, ესტონეთის ქალაქ ტალინში ესტონეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ მუსიკალურ ფესტივალში, სადაც პირველი უცხოური ჯგუფი ანსამბლი „ჩვენებურები“ აღმოჩნდა, პოლონეთის ქალაქ ვარშავაში საერთაშორისო ფესტივალში „ტრანსკავკასია“, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში საერთაშორისო ფესტივალში, საქართველოში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „არტ ზონა“, სომხეთის ქალაქ სევანში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „მუსიკოსები მშვიდობისთვის“, ესტონეთის ქალაქ ტალინში გამართულ ფესტივალში „ძველი ქალაქის დღეები“, ასევე ტალინში გამართულ საქართველოს კულტურის დღეებში, რიგაში გამართულ საქართველოს კულტურის დღეებში, ვილნიუსში გამართულ საქველმოქმედო აქცია-კონცერტებში ქართველ დევნილ ბავშვთა დასახმარებლად წმინდა კატრინას მონასტერსა და კლუბში, ბათუმში გამართულ შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალში, მესტიაში გამართულ მსოფლიოს მუსიკის ფესტივალში, ბათუმში გამართულ ფესტივალში „ხუთვარსკვლავიანი შემოდგომა ბათუმში“, ინდოეთის ქალაქი ნიუ დელიში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტში, ესტონეთის ქალაქ ვილიანდში გამართულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში, უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში გამართულ ფესტივალში კონკურსი „შჰარქ თარონალარი“, სადაც მესამე ადგილი მოიპოვა 56 ქვეყანას შორის და ტურნე ლატვიასა და შვედეთში.

ანსამბლი შემოქმედებით მოღვაწეობაში სიახლეების შეტანას კვლავ აპირებს და თავის ერთგულ მსმენელს ჰპირდება, რომ მომავალში ახალი სიმღერების წარდგენასთან ერთად, არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე საქართველოსა და ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას მოახდენს.

# ქუთაისში მსოფლიო დოკუმენტური კინოს შედევრების კინოფესტივალი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

**კინომცოდნე და პროფესორი გოგი დოლიძე გვიან შემოდგომაზე ქართული კინოს მოყვარულებს ქუთაისში ეპატიჟება, სადაც მსოფლიო დოკუმენტური კინოს პირველი შედევრების პირველი და განუმეორებელი საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართება. როგორც ბატონი გოგი აღნიშნავს, ამ ფესტივალის ჩატარება სექტემბერში იყო დაგეგმილი, თუმცა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა პროფესორის გეგმები რადიკალურად შეცვალა.**

ვის უნდა ველოდოთ ამ მნიშვნელოვან ფესტივალზე და რა სახის ღონისძიებებია დაგეგმილი, ამის შესახებ კინომცოდნე „ახალ თაობას“ ესაუბრა:

გოგი დოლიძე:

– მიუხედავად იმ მძიმე სულიერი მდგომარეობისა, რომელიც ახლა სუფევს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ყველა მოკეთე და მეზობელ ქვეყნებში და ხალხებში, რა თქმა უნდა, ეს ეხება სამარცხვინო ამბავს, რომელიც გამომზეურებულ იქნა გლდანის ციხის სასწაულ ცინიზმთან დაკავშირებით, მაინც არც ისე შეიძლება, რომ მოვწყდეთ ჩვენს ძირითად საქმეს და არ აღვენიშნა 100 წლისთავის პრემიერა იმ ფილმისა, რომელიც ითვლება უპირველეს ქართულ ფილმად. მხედველობაში მაქვს ვასილ ამაშუკელის უკვდავი ფილმი „აკაკის მოგზაურობა“. აუცილებლად უნდა წავსულიყავი ქუთაისში. ეს შეთანხმებული იყო ჩემს კოლეგებთან, ჟურნალისტებთან და ჩვენ ჩავატარეთ პრესკონფერენცია ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით. ქალაქში იყო აქციები, მაგრამ ჩვენ მაინც შევიკრიბეთ – პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, გოგი შავგულიძე, სახალხო არტისტი ლამარა ვაშაკიძე და სხვები და ეს თარიღი გავიხსენეთ. ეს ჩვენი მოვალეობაა. ვერც ერთი კინოისტორიკოსი ვერ მისცემდა თავს იმის უფლებას, მთლად ქვეყანა რომ დალუპულიყო, მოსწრებოდა თავისი ქვეყნის ეროვნული კინემატოგრაფის პირველი ფილმის 100 წლისთავს, არ გაევლო რამდენიმე ასეული კილომეტრი და არ აღენიშნა ეს თარიღი ზუსტად იქ, სადაც ეს უნიკალური ამბავი მოხდა და ეს მოხდა ქუთაისში ზუსტად 100 წლის წინ 1912 წლის 20 სექტემბერს, როცა ვასილ ამაშუკელმა ძალიან ოპერატიულად დაამთავრა ფილმის გადაღება, დამონტაჟება, წარწერების გაკეთება, რაც ურთულესი იყო იმ დროისთვის. მოიწვიეს საგანგებოდ აკაკი წერეთელი. ისიც ჩამოვიდა პრემიერაზე ვარინკა წერეთელთან ერთად და პირველივე დღეს ჩატარდა ოთხი სეანსი. ამიტომ მინდოდა, რომ ძალიან მოკრძალებულად, მაგრამ მაინც აღგვენიშნა ეს დღე. ისე კი ჩაფიქრებული გვქონდა ქუთაისის ცნო-



ბილ ბულვარში, სადაც არსებითად აკაკიმ დაასრულა თავისი მოგზაურობა, მოგვეწყო სახალხო ზეიმი, მსახიობიც გვყავდა შერჩეული, რომელიც გაითამაშებდა აკაკის როლს, იყვნენ ჩოხოსნები და უნდა აღდგენილიყო ის ეპოქა, მაგრამ დროებით ეს ღონისძიება გადაიდო. უფლის მადლობელი ვარ, რომ ამას მომასწრო. 10 წლის წინ როცა ჩავატარე 90 წლისთავი აკაკის მოგზაურობისა, მაშინ ვამბობდი, ღმერთო, ერთი 10 წელი კიდევ მაცოცხლე, რომ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის საუკუნოვან იუბილეს მოვესწრო-მეთქი. ახლა კი მინდა, წელს ნოემბერ-დეკემბერში მოვიწვიოთ ნამდვილი კინემატოგრაფიული ქვეყნები, რომელთაც 1912-13 წლებში ჰქონდათ კინემატოგრაფი და ფილმებს იღებდნენ. ესენია საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, რუსეთი. გვინდა, მათ ჩამოიტანონ თავიანთი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმები, ჩვენ ვაჩვენებთ ჩვენს „აკაკის მოგზაურობას“ და ეს იქნება უნიკალური ფესტივალი მსოფლიო დოკუმენტური კინოს პირველი პრეცედენტისა. ამის მსგავსი არსად მომხდარა და არც ის მომხდარა, რომ რომელიმე ქვეყანაში აღნიშნულიყოს რომელიმე ფილმის პრემიერის 100 წლისთავი. ფილმის პრემიერა ნამდვილად შეიძლება აღინიშნოს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება საოცრად მოკლე დროში ფილმის გადაღებაც და მისი ეკრანზე გაშვებაც. ვასილ ამაშუკელმა დაიწყო გადაღება 21 ივლისს, გაიარა თავისი 40-კილოგრამიანი აპარატით 200 კილომეტრი გზა 12 დღის განმავლობაში, გადაიღო უნიკალური კადრები, ჩამოვიდა, ჩამოიტანა თბილისში, დაამონტაჟა და 20 სექტემბერს უჩვენა. არ არის ეს ოპერატიულობა? 40-კილოგრამიანი აპარატის თრევას ეხუმრებით? თან მაშინ ასისტენტებიც არ იყვნენ, თვითონ იყო ყველაფერი – მუშაც, მტვირთავიც, ასისტენტიც და ასეთი კარგი საქმე დაგვიტოვა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია მოვახდინეთ. წელს რაც არ უნდა მოხდეს, სულ რომ სახლი

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## განცხადებები

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50;593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის განწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ:2-96-67-03;595-35-64-13.

# არმაზი არ ხუმრობს

**არმია – ლელო 30:23**

არმია: კობახიძე, ტუჩაშვილი, ჯიმშელაძე, ჩხიკვაძე, ნუცუბიძე (გოგოლაშვილი 41), ნინიძე, სამხარაძე; კაკოვინი, მეკოკიშვილი (მამუკაშვილი 48), გურგენიძე (ხოსიტაშვილი 48), ბიწაძე, ჩიტაძე (აზალაძე 68), თხილაიშვილი, თავართქილაძე (სურგულაძე 15), ბუჯიაშვილი

3 ლელო: ჩხიკვაძე, კაკოვინი, კობახიძე

3 გარდასახვა: კობახიძე

3 ჯარიმა: კობახიძე

ლელო: ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ანდღულაძე, კოპაძე, გუგავა, ხმალაძე, კაჭარავა; სანიკიძე (ხიდეშელი 54), ბელქანია (კვერნაძე 61), სუჯაშვილი (ბარბაქაძე 79), ნიკოლაიშვილი (კოლელიშვილი 61), ქოიავა, დარასელია, სურგულაძე, ჭყოიძე

2 ლელო: ბელქანია, გუგავა

2 გარდასახვა: ყიასაშვილი

3 ჯარიმა: ყიასაშვილი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-4 ტურის ცენტრალური მატჩი მართლაც კარგი სანახავი გამოდგა. ორივე გუნდმა თავდაუზოგავად იბრძოლა და მაყურებელს ნამდვილი ბრძოლა აჩვენეს.

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო და ძირითადი აქცენტი შეტევაზე გააკეთა. ალბათ, ამის ბრალი იყო, რომ დაძაბულობამ პირველ ტაიმში რამდენჯერმე აყალმაყალიც კი გამოიწვია.

მე-10 წუთზე ირაკლი ყიასაშვილმა ანგარიში ჯარიმით გახსნა, მაგრამ არმიელებმა იქვე ლელოთი უპასუხეს. ცოტა საკამათო ლელო კი იყო, რადგან წესების დარღვევას ჰგავდა. მთავარი და გვერდითი მსაჯების კონსულტაციების შემდეგ ირაკლი ჩხიკვაძეს ლელო ჩაუთვალეს, რომელიც ზუსტად გარდასახა ბახვა კობახიძემ – 7:3.

„ლელოს“ ქარის საწინააღმდეგოდ უწევდა თამაში და ამის გამო რამდენიმე კარგი შეტევა და ჯარიმა



გაუცუდდათ. სამაგიეროდ, კობახიძე ურტყამდა ზუსტად და 10 წუთში ორი ჯარიმაც გაიტანა – 13:3.

თუმცა, ტაიმის ბოლოს „ლელომ“ ძალიან კარგად ითამაშა და არმიელთა ჩათვლის მოედანში ორჯერ შეაღწია. ჯერ რევაზ ბელქანიამ ძელებსშუა გაიტანა, შემდეგ კი ლექსო გუგავამ კონტრშეტევაზე დაიჭირა მეტოქე და თავის გუნდს მეორე ლელო მოუტანა. ყიასაშვილმა ორივე ზუსტად გარდასახა და ტაიმი 13:17 მორჩა.

51-ე წუთზე ყიასაშვილმა ჯარიმით თავისი გუნდის უპირატესობა გაზარდა. 65-ე და 68-ე წუთებზე კობახიძემ და ყიასაშვილმა ჯარიმები გაცვალეს – 16:23. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, არმიელებს მაქსიმუმ ფრესთვის მიეღწიათ, მაგრამ დასკვნით წუთებში „ლელო“ გატყდა.

„არმიამ“ შტურმი მოუწყო მეტოქეს და ჯერ გოგა კაკოვინმა ძალისმიერ შეტევა დაასრულა ლელოთი და კობახიძემ გარდასახვით გაათანაბრა. ამას ყიასაშვილის გაცუდებული ჯარიმა მოჰყვა, ბოლოს კი ალექსანდრე ტუჩაშვილი გაექცა მცველებს და კობახიძეს ლელო გაატანინა, რომელმაც თავად გარდასახა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 30:23.

**აია – ლოკომოტივი 25:25**

აია: ხამაშურიძე, აბრამიძე, ფრუიძე, კვერნაძე, ძნელაძე, სინაურიძე, გოგია (როხვაძე); ულუმბელაშვილი (არაბიძე), მატკავა, წაქაძე, შალამბერიძე, ჩიტეიშვილი, რევიშვილი, დგებუაძე (შაშიაშვილი), ყურაშვილი

2 ლელო: აბრამიძე, ყურაშვილი;

5 ჯარიმა: სინაურიძე (5);

ლოკომოტივი: წიკლაური, ჟამუტაშვილი, ჭურღულია, ქავთარაძე (ბიწაძე), ხუციშვილი, კავთიძე, ღვინჯილია, გასვიანი (ხულოშვილი), გენებაშვილი, ელოშვილი, ტუჩაშვილი (გუნიავა), გეგია (კორკოტაძე), ბერიშვილი, ჩიტიძე, მაისურაძე

ლელო: მაისურაძე

გარდასახვა: კავთიძე

6 ჯარიმა: კავთიძე (4), წიკლაური (2)

კიდევ ორი ფავორიტის დაპირისპირებას ქუთაისი წვიმიანი შეხვდა. ატალახებულ მოედანზე სწრაფი თამაში ძნელი იყო, წუნიც ბევრი შეინიშნებოდა, თუმცა ბრძოლა ბევრი იყო და ამის დასტური საბოლოო ანგარიშია.

თავიდან მასპინძლები უფრო აქტიურობდნენ და სინაურიძემ საჯარიმო დარტყმით თავისიანები დააწინაურა – 3:0.

თითქოს საქმე დასრულებულად ჩათვალეს და „აია“ რატომღაც დადგა და უპირატესობა მეტოქეს გადაულოცა. „ლოკომოტივმა“ ზედიზედ სამი ჯარიმა გაიტანა – ორჯერ კავთიძემ, ერთხელაც წიკლაურმა და 9:3 დაწინაურდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისელთა ჯარიმებს ორი მორაგბე ასრულებდა. თუ ახლო მანძილი იყო, მის გატანას კავთიძე ცდილობდა, შორიდან კი ეს უფლება წიკლაურს ჰქონდა მინიჭებული.

ამის შემდეგ იკადრეს მასპინძლებმა გააქტიურება და კარგი ლელოც გამოუვიდათ – მოთამაშემწვრთნელმა ბესიკ ხამაშურიძემ ბურთი საპირისპირო ფლანგზე აბრამიძეს გადაუკიდა, რომელიც სწრაფად დაუსხლტა მცველებს და ბურთი სტუმართა ჩათვლის მოედანზე დაამიწა. სინაურიძეს გარდასახვა გაუცუდდა და წინ ისევ „ლოკომოტივი“ დარჩა – 8:9.

„ლოკომოტივი“ არ დანებდა და კავთიძემ კიდევ ერთხელ ზუსტად შეასრულა საჯარიმო – 8:12. თუმცა, პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძლები ისევ გააქტიურდნენ და სინაურიძეს ორჯერ მიეცა გატანის შანსი, რაც კარგად გამოიყენა – 14:12 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მე-2 ტაიმიც იმავე სცენარით გაგრძელდა. სინაურიძის ჯარიმის შემდეგ ანგარიში 17:12 გახდა, მაგრამ კავთიძემ და წიკლაურმა თბილისელები კიდევ ერთხელ დააწინაურეს – 17:18.

მატჩის ბოლო წუთები ისე წარიმართა, რომ მოგება ორივე გუნდს შეეძლო. ჯერ რიონისპირელებმა შეუტიეს და ყურაშვილმა მოედნის კიდესთან ლელო გაიტანა, რომელიც სინაურიძემ ვერ გარდასახა – 22:18.

ახლა უკვე მარცხის წინაშე მდგარი „ლოკომოტივი“ მთელი გუნდით გადავიდა შეტევაზე. ქუთაისელები საკუთარ ლელოსთან დაჯარიმდნენ, თუმცა სტუმრებმა კარში დარტყმას შერკინება არჩიეს და მძლავრი მიწოლით მეტოქე ჩათვლის მოედანში შეათრიეს. კავთიძემ გარდასახვა ზუსტად გამოიყენა – 22:25.

განახლდა თამაში თუ არა, სტუმრები დაჯარიმდნენ და სინაურიძემ ძალიან რთული პოზიციიდან ანგარიში გაათანაბრა – 25:25.

„რკინიგზელები“ ერთხელაც მიეძალნენ მეტოქეს და ბოლო წუთზე ჯარიმაც დასტყუეს, მაგრამ წიკლაურმა მისი გატანა ვერ შეძლო და გუნდები ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ.

**სხვა მატჩები:**

აკადემია – ილიაუნი ჯიქი 9:39

„ჯიქებმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ საკმაოდ საინტერესო გუნდია და ფავორიტებსაც შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს. „ჯიქებმა“ ამჯერად აკადემიელებს მოუგეს და თანაც ისე, რომ პრემიალური ქულაც მიითვალეს.

**ყოჩები – ხარები 24:27**

რუსთაველებმა მეორე მატჩი მოიგეს და თითქმის გაარკვიეს, თუ ვინ იქნებიან ამ სეზონში აუტსაიდერები. „ყოჩები“ მხოლოდ პრემიალურ ქულას გამორჩნენ, რაც მათთვის მეორეა და ამით უსწრებენ ბოლოადგილოსანს.

**ბათუმი – არმაზი 13:18**

ზედიზედ მე-4 მატჩი მოიგო „არმაზმა“ და ერთადერთი წაუგებელი გუნდია, თუმცა, პრემიალურით რომ მოეგო, ლიდერადაც მოგვევლინებოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სეზონის წინ „ბათუმსაც“ არ თვლიდნენ ხელწამოსაკრავ გუნდად, მაგრამ სტარტზე უკვე იმდენი ქულა გაანიავეს, ეს სტატუსი, ცოტა არ იყოს, გაფერმკრთალდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | 132:62 | 16 |
| 2.არმაზი | 4 | 4 | 0 | 0 | 82:42 | 16 |
| 3.არმია | 4 | 3 | 0 | 1 | 98:70 | 14 |
| 4.ჯიქები | 4 | 3 | 0 | 1 | 83:56 | 13 |
| 5.აია | 4 | 2 | 1 | 1 | 60:55 | 11 |
| 6.ლოკომოტივი | 4 | 1 | 1 | 2 | 75:68 | 11 |
| 7.ხარები | 4 | 2 | 0 | 2 | 57:68 | 9 |
| 8.ბათუმი | 4 | 1 | 0 | 3 | 39:78 | 5 |
| 9.ყოჩები | 4 | 0 | 0 | 4 | 74:122 | 2 |
| 10.აკადემია | 4 | 0 | 0 | 4 | 26:105 | 1 |

# ყუმბარა მოედანზე

აზიური კონფედერაციის ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს მოედანზე საბრძოლო ყუმბარა ისროლეს. მეოთხედფინალური მატჩი ირანში, ისპაჰანის სტადიონზე, ადგილობრივ „სპეჰანასა“ და არაბულ „ალ აჰლის“ შორის მიმდინარეობდა.

ტრიბუნებიდან მოედანზე სხვადასხვა საგნები ისროლეს, ამიტომ მსაჯმა მატჩი შეაჩერა. „სპეჰანას“ ნახევარმცველმა ადელ კოლაკაიმ მსაჯის დახმარება სცადა და ერთ-ერთი საგანი აიღო. როდესაც ფეხბურთელმა დაინახა, რომ ეს ყუმბარა იყო, მაშინვე მოისროლა. აფეთქებაც მაშინ მოხდა.

მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა, მატჩი გაგრძელდა და უგოლოდ დასრულდა.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-მანჩესტერი ............ 1:2
ნიუკასლი-ნორვიჩი ............ 1:0
სიტი-არსენალი ............ 1:1
ტოტენჰემი-ქპრ ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| 2.მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:6 | 12 |
| 3.ევერტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| 4.ვესტ ბრომივიჩი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| 5.ფულემი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:7 | 9 |
| 6.არსენალი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:2 | 9 |
| 7.ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| 8.ვესტ ჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| 9.ნიუკასლი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| 10.სიტი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:7 | 7 |
| 11.სუონსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| 12.სანდერლენდი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| 13.სტოკი | 5 | 0 | 4 | 1 | 4:5 | 4 |
| 14.ასტონ ვილა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 15.უიგანი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| 16.ნორვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:8 | 3 |
| 17.საუთჰემპტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 9:15 | 3 |
| 18.ლივერპული | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |
| 19.ქპრ | 5 | 0 | 2 | 3 | 3:11 | 2 |
| 20.რედინგი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ლესტერი-ჰალი ............ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ვალენსია ............ 2:0
ლევანტე-სოსიედადი ............ 2:1
ატლეტიკო-ვალიდოლიდი ............ 2:1
ბილბაო-მალაგა ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 14:3 | 15 |
| 2.მალიორკა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| 3.მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| 4.ატლეტიკო | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 10 |
| 5.ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 6.სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| 7.რაიო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 8.ლევანტე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| 9.დეპორტივო | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 6 |
| 10.სელტა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| 11.სარაგოსა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| 12.ვალიადოლიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| 13.სოსიედადი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | 6 |
| 14.ვალენსია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| 15.ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 8:12 | 5 |
| 16.რეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| 17.ხეტაფე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| 18.გრანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| 19.ესპანიოლი | 5 | 0 | 1 | 4 | 7:11 | 1 |
| 20.ოსასუნა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-მურსია ............ 1:0

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ტორინო ............ 1:1
ატალანტა-პალერმო ............ 1:0
ბოლონია-პესკარა ............ 1:1
ინტერი-სიენა ............ 0:2
უდინეზე-მილანი ............ 2:1
ლაციო-ჯენოა ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 12 |
| 2.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 3.ლაციო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| 4.სამპდორია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 9 |
| 5.ფიორენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| 6.ინტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| 7.ჯენოა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| 8.ატალანტა | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 5 |
| 9.რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| 10.ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 4 |
| 11.კატანია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| 12.პარმა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 13.უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| 14.ბოლონია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| 15.მილანი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:5 | 3 |
| 16.კიევო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| 17.კალიარი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| 18.პალერმო | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |
| 19.პესკარა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | 1 |
| 20.სიენა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | -1 |

შენიშვნა:

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-გლადბახი ............ 1:1
ვერდერი-შტუტგარტი ............ 2:2
ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი ............ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:2 | 12 |
| 2.აინტრახტი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:4 | 12 |
| 3.ჰანოვერი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 7 |
| 4.დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| 5.შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| 6.ნიურნბერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| 7.ფორტუნა | 4 | 1 | 3 | 0 | 2:0 | 6 |
| 8.ფრაიბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| 9.გლადბახი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| 10.ვოლფსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:5 | 5 |
| 11.ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| 12.მაინცი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 13.ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 14.ფიურტი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | 4 |
| 15.ჰამბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:12 | 3 |
| 17.შტუტგარტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:9 | 2 |
| 18.აუგსბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მიუნხენ 1860-ბრაუნშვაიგი ............ 1:1
დუისბურგი-ბოხუმი ............ 0:0
დინამო-ინგოლშტადი ............ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-აიაჩო ............ 2:2
მარსელი-ევიანი ............ 1:0
ლილი-ლიონი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მარსელი | 6 | 6 | 0 | 0 | 9:1 | 18 |
| 2.ლიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:5 | 14 |
| 3.პსჟ | 6 | 3 | 3 | 0 | 10:3 | 12 |
| 4.ლორიენი | 6 | 3 | 3 | 0 | 12:7 | 12 |
| 5.რეიმსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| 6.ბორდო | 6 | 2 | 4 | 0 | 7:5 | 10 |
| 7.ტულუზა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| 8.ბრესტი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| 9.ნიცა | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 8 |
| 10.ვალანსიენი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| 11.აიაჩო | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| 12.სტ.ეტიენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:8 | 7 |
| 13.ლილი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:8 | 7 |
| 14.სოშო | 6 | 2 | 0 | 4 | 7:10 | 6 |
| 15.ბასტია | 6 | 2 | 0 | 4 | 7:16 | 6 |
| 16.მონპელიე | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |
| 17.ევიანი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:8 | 4 |
| 18.რენი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| 19.ნანსი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:8 | 4 |
| 20.ტრუა | 6 | 0 | 2 | 4 | 6:13 | 2 |

**ჰოლანდია. ეჩედივიზიონი**

დენ ............ ჰააგი-აიაქსი 1:1
ბრედა-ალკმაარი ............ 2:1
ტვენტე-ჰერენვენი ............ 1:0
პსვ-ფეიენოორდი ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტვენტე | 6 | 5 | 0 | 0 | 16:4 | 18 |
| 2.ვიტესი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 14 |
| 3.პსვ | 6 | 4 | 0 | 2 | 18:6 | 12 |
| 4.აიაქსი | 6 | 3 | 3 | 0 | 17:6 | 12 |
| 5.უტრეხტი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| 6.ფეიენოორდი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| 7.დენ ჰააგი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:9 | 9 |
| 8.ვალვაიკი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:8 | 9 |
| 9.ალკმაარი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:10 | 8 |
| 10.ნაიმეგენი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:11 | 8 |
| 11.გრონინგენი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | 7 |
| 12.ერაკლესი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| 13.როდა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 4 |
| 14.ვენლო | 6 | 0 | 3 | 3 | 7:12 | 3 |
| 15.ჰერენვენი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:9 | 3 |
| 16.ტილბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:13 | 3 |
| 17.ბრედა | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | 2 |
| 18.ზვოლე | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

სეტუბალი-ოლჰანენსე ............ 1:0
ნასიონალი-ფერეირა ............ 3:3
ბრაგა-რიუ ავე ............ 4:1
აკადემიკა-ბენფიკა ............ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 11:2 | 10 |
| 2.ბენფიკა | 4 | 2 | 2 | 0 | 12:4 | 7 |
| 3.ფერეირა | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 5 |
| 4.მორეირენსე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| 5.მარიტიმუ | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| 6.გიმარაეში | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | 5 |
| 7.სეტუბალი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:7 | 5 |
| 8.ბრაგა | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 4 |
| 9.აკადემიკა | 4 | 0 | 4 | 0 | 6:6 | 4 |
| 10.ოლჰანენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| 11.რიუ ავე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| 12.ჟილ ვისენტე | 3 | 0 | 3 | 0 | 0:0 | 3 |
| 13.ეშტორილი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| 14.სპორტინგი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| 15.ნასიონალი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:11 | 2 |
| 16.ბეირა მარი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:11 | 2 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სპარტაკი-როსტოვი ............ 3:1
რუბინი-ყუბანი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 9 | 7 | 0 | 2 | 16:8 | 21 |
| 2.ლოკომოტივი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:11 | 19 |
| 3.ტერეკი | 9 | 6 | 1 | 2 | 12:12 | 19 |
| 4.ზენიტი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:8 | 17 |
| 5.ანჟი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:10 | 17 |
| 6.სპარტაკი | 9 | 5 | 1 | 3 | 17:15 | 16 |
| 7.რუბინი | 9 | 5 | 0 | 4 | 13:10 | 15 |
| 8.ყუბანი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:13 | 13 |
| 9.ამკარი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 12 |
| 10.კრასნოდარი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:14 | 11 |
| 11.კრ.სოვეტოვი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:16 | 11 |
| 12.როსტოვი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | 9 |
| 13.ალანია | 8 | 2 | 2 | 4 | 13:14 | 8 |
| 14.დინამო | 9 | 2 | 0 | 7 | 8:18 | 6 |
| 15.ვოლგა | 9 | 1 | 1 | 7 | 10:21 | 4 |
| 16.მორდოვია | 9 | 1 | 1 | 7 | 10:23 | 4 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-მოზერველი ............ 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მოზერველი | 7 | 3 | 4 | 0 | 13:8 | 13 |
| 2.ჰიბერნიანი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:10 | 12 |
| 3.სელტიკი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| 4.კილმარნოკი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:7 | 9 |
| 5.ჰართსი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 9 |
| 6.სტ.მირენი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 9 |
| 7.დ.იუნაიტედი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| 8.აბერდინი | 7 | 1 | 5 | 1 | 6:6 | 8 |
| 9.როსი | 7 | 1 | 5 | 1 | 3:3 | 8 |
| 10.სტ.ჯონსონი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| 11.ინვერნესი | 7 | 0 | 5 | 2 | 11:16 | 5 |
| 12.დანდი | 7 | 1 | 1 | 5 | 2:10 | 4 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-ლუცერნი ............ 1:0
სტ.გალენი-სერვეტი ............ 2:0
იანგ ბოიზი-ბაზელი ............ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-რაპიდი ............ 0:2

**ბელგია. პროლიგა**

ბრიუგე-სერკლი ............ 4:0
შარლერუა-გენკი ............ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-იანინა ............ 1:0
არისი-კერკირა ............ 1:0
ოფი-აეკი ............ 2:1
ოლიმპიაკოსი-პანთრაკიკოსი ............ 4:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ქაშიმფაშა ............ 1:0
ელაზიგი-ბურსა ............ 1:1
გალათასარაი-აკხისარი ............ 3:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო-იიჰლავა ............ 5:1
დუკლა-სლავია ............ 0:0
მლადა-ჰრადეც კრალოვე ............ 1:0
ტეპლიცე-პლზენი ............ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

შლიონსკი-ბელხატუვი ............ 2:1
ლეხი-პოგონი ............ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ოდენსე ............ 2:2
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ............ 1:1
კოპენჰაგენი-სილკებორგი ............ 5:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ელფსბორგი-სუნდსვალდი ............ 0:0
ნორჩიოპინგი-აიკი ............ 2:2
კალმარი-ატვიდაბერგი ............ 2:0
გეფლე-მიალბი ............ 1:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სონგდალი-ტრომსო ............ 1:0
სტაბეკი-ფრედრიკსტადი ............ 0:1
ოდ გრენლანდი-მიოლდე ............ 0:0
ჰაუგესუნდი-ულფი ............ 3:2
ბრანი-რუსენბორგი ............ 2:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-მარიეჰამნი ............ 1:3
კუუპიო-მიუპა ............ 2:0
ლახტი-ჯჯკ ............ 2:1
ჰაკა-იარო ............ 0:0
ჰიკი-ინტერი ............ 1:1

**აშშ. მლს**

ფილადელფია-ჰიუსტონი ............ 3:1
დ.ს.იუნაიტედი-ჩივასი ............ 1:0
ვანკუვერი-კოლორადო ............ 2:2

**ბრაზილია. სერია ა**

ატლეტიკო(გ)-ფლამენგო ............ 1:2
ბოტაფოგო-კორინთიანსი ............ 2:2
პონტე პრეტა-ვასკუ ............ 0:0
სან პაულუ-კრუზეირო ............ 1:0
ატლეტიკო-გრემიო ............ 0:0
ინტერნასიონალი-ბაია ............ 3:1
რესიფე-კურიტიბა ............ 1:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

რივერ პლეიტი-რასინგი ............ 0:1
კოლონი-ოლდ ბოიზი ............ 1:2
სან მარტინი-ქილმესი ............ 4:0
ლანუსი-ბოკა ............ 2:0

**ჩოგბურთი**

**ვტა. ტოკიო. პარდი**

ბარტოლი-დატე კრუმი ............ 6:1;6:4
გერგესი-ნიკულესკუ ............ 6:3;6:2
კანეპი-ესპინოზა ............ 6:1;6:4
ლისიცკი-უოტსონი ............ 4:6;6:7
ჩჟენი-კინგი ............ 6:3;6:4
შაფარჟოვა-პირონკოვა ............ 6:4;7:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქუთაისში მსოფლიო დოკუმენტური კინოს შედევრების კინოფესტივალი გაიმართება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გავყიდო, მაინც უნდა მოვიწვიო ჩვენი კოლეგები ევროპიდან და ამერიკიდან. ჩამოიტანენ ისინი თავიანთ ფილმებს და ვაჩვენებთ ქუთაისში, კოლხეთის უდიდეს და უნიკალურ ქალაქში დაფიქსირდება, რომ ჩატარდა მსოფლიო დოკუმენტური კინოს პირველი შედევრების პირველი და, ალბათ, განუმეორებელი საერთაშორისო კინოფესტივალი.

— მათ ამის შესახებ უკვე იციან?

— ჩვენ მათ ინფორმაციას უახლოეს მომავალში მივაწვდით. ჩემი შვილი, პროფესორი ზვიად დოლიძე იყო უელსში, სადაც წაიკითხა მოხსენება და როცა უთხრა, თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი ვარო, მათ გაუკვირდათ, უნივერსიტეტიც გაქვთო? ამიტომ მინდა, მსოფლიომ გაიგოს, რომ ჩვენ მხოლოდ უნივერსიტეტი კი არა, გვაქვს ყველაზე ხნიერი და მსოფლიოში პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი. ეს გვაქვს ჩვენ ქართველებს და ასეთი დიდი წარსულის ქვეყანაა კინემატოგრაფიულადაც საქართველო. ამიტომაც ამას უნდა კარგი გაგრძელება. ახალგაზრდა მოღვაწე შალვა კამლაძემ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში აჩვენა „აკაკის მოგზაურობა". ახლა საჭიროა, მსოფლიო კინოს ისტორიაში ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩაიწეროს. ჩვენ აუცილებლად უნდა ჩავატაროთ ეს ღონისძიება, რომელსაც, თუ გნებავთ, შემოქმედებითი კონფერენცია დაარქვით. კარგად გვესმის, რომ ახლა ამის დროს ნამდვილად არ არის და ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში უკვე შევთანხმდებით. კულტურის სამინისტროც პრინციპულად მხარს გვიჭერს, გადასარევი პროექტიაო. ეს ჩემი, როგორც კინოისტორიკოსის მოვალეობაა. ეს თუ არ გავაკეთე, ისე ვერ წავალ ამქვეყნიდან. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა მაშინ, როცა ივლისში ოფიციალურად მოკრძალებულად, მაგრამ მაინც ალვნიშნეთ აკაკის ისტორიული მოგზაურობის 100 წლისთავი და, ამავდროულად, ეს იყო უნიკალური კინომოვლენა მსოფლიოს ისტორიაში, რადგან ამ დღეს დაიწყო არა მარტო აკაკის მოგზაურობა, არამედ ამავე დღეს დაიწყო უნიკალური ფილმის გადაღება ამ საკითხზე, რომელიც ითვლება იმდროინდელი დოკუმენტური კინოს უნიკალურ ძეგლად. მაშინ მთავარი იყო, თარილი ყოფილიყო აღნიშნული. მთელი ჩვენი მოგზაურობის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ესტაფეტა გადავეცით ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებს, ჩვენს ნორჩ „პიონერფილმელებს", რომლებსაც ზრდის ჩვენი სახელოვანი პედაგოგი გრიშა ჩიგოგიძე. მათ თავიანთი მოღვაწეობით უკვე დაიმკვიდრეს თანატოლებში ძალიან სახელოვანი და პრესტიჟული ნორჩ კინემატოგრაფისტთა სახელი. ჩვენთან ერთად იყო „პიონერფილმის" 14 მოსწავლე და მათ გამო ხდებოდა ეს ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი მომენტია ჩვენი მომავლისათვის. მათ გზა დავულოცე და ასევე იმ მომავალ თაობასაც, რომლებიც ამ ფილმისა და ამ მნიშვნელოვანი მოვლენის 200 წლისთავსაც გადაიხდიან. პიონერფილმელებთან ერთად ვიყავით ოთხი პროფესორი — არნოლდ გეგეჭკორი, გიორგი შავგულიძე, ტარიელ ჭილლარია და თქვენი მონა-მორჩილი, ასევე სახალხო არტისტი თენგიზ უთმელიძე. ჩვენ ზუსტად იმ დროს და იმ დღეს გავედით ქუთაისიდან, როგორც აკაკი წერეთელი. პირველი გაჩერება იყო ჭრებალო, ამბროლაური, მერე ონში და ბოლოს სოფელი ლაილაში ჩავედით. ზუსტად ის მარშრუტი გავიარეთ, რომელიც აკაკიმ გაიარა. მან აღარ გააგრძელა გზა მთიან რაჭაში — ღებში, ჭიორაში, რადგან ალექსანდრე ხახანაშვილი გარდაიცვალა და აკაკი სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში. მან მოგზაურობა სწორედ ამ სამწუხარო ამბის გამო შეწყვიტა. ამ მსვლელობით არ დამთავრებულა ჩვენ მიერ საზეიმო აღნიშვნა. ის ფილმის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" 100 წლის იუბილეთი გაგრძელდა. ფილმის პრემიერა 100 წლის წინ მაშინდელ კინოთეატრ „რადიუმში" შედგა. ახლა ეს კინოთეატრი არ ფუნქციონირებს. ამჟამად ასეთი მოკრძალებული ღონისძიებებით შემოვიფარგლეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ უდიდესი ტრადიციები გვაქვს როგორც კინოში, ასევე თეატრში, ამიტომ მათი პოპულარიზაცია მაქსიმალურად უნდა მოვახდინოთ.

# კათოლიკე მღვდლების პედოფილური ცოდვები ავსტრალიაში



ავსტრალიის შტატ ვიქტორიაში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ 1930 წლიდან დღემდე 600 ბავშვი გახდა პედოფილი მღვდლების მსხვერპლი.

სამართალდამცავთა მონაცემებით, მსხვერპლის რეალური რაოდენობა, დაურეგისტრირებელი შემთხვევების ჩათვლით, 10 ათასსაც ამეტებს. და ეს მხოლოდ შტატ ვიქტორიაში.

მას შემდეგ, რაც 2002 წელს პედოფილიასთან დაკავშირებული სკანდალი აგორდა ამერიკის ეკლესიაში, ბევრ ქვეყნებში ითქვა, რომ „ეს ამერიკის პრობლემაა", როდესაც ამას მოჰყვა იგივე სახის სკანდალი ირლანდიაში — ჩათვალეს ინგლისურენოვანი ქვეყნებისთვის დამახასიათებლად; მერე გაირკვა, რომ მსგავსი სექსუალური ქმედებებით გამოწვეული პრობლემა არსებობს იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა, რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ჩათვალეს დასავლური სამყაროს პრობლემად.

შეგახსენებთ, რომ რომის პაპმა ბოლო ტრადიციულ საშობაო მესაზე სიტყვით გამოსვლისას პედოფილია კათოლიკური ეკლესიის მთავარ პრობლემად დაასახელა .

— ჩვენ უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს, რა გავაკეთოთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად. რა იყო არასწორი ქრისტიანებთან მიდგომაში, რადგან ჩვენ მსგავსი რამ დავუშვით. ჩვენ რწმენისა და სიკეთის ახალი წყარო უნდა ვეძებოთ, — განაცხადა რომის პაპმა.

მან აღიარა კათოლიკური ეკლესიის ბრალეულობა მღვდელი-პედოფილების არსებობაში და განაცხადა, რომ პედოფილიის შემთხვევების ზრდა საზოგადოებაში დიდი რაოდენობით საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელებით და სექსტურიზმის ინდუსტრიის განვითარებითაა განპირობებული.

— ეს კი იმის წინაპირობა გახდა, რომ წლების განმავლობაში პედოფილია დიდ ბოროტებად არ მიიჩნეოდა, — განაცხადა ბენედიქტე მეთექვსმეტემ.

# 25-დღიანი პატიმრობა „ნაციონალური მოძრაობის" შტაბში ცოცხის შეგდებისთვის

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ კოალიცია „ქართული ოცნების" აქტივისტს კახა ოდიშვილს, რომელმაც პროტესტის ნიშნად, „ნაციონალური მოძრაობის" მცხეთის შტაბში ცოცხი შეაგდო, 25 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ კახა ოდიშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში.

როგორც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების" მცხეთის შტაბის უფროსმა ზურაბ კობახიძემ განუცხადა, „ნაციონალური მოძრაობის" დავალებით სოფელ ქსოვრისში „ქართული ოცნების" პლაკატები ჩამოხიეს.

„კახა ოდიშვილი და ვალერი ქინძაძე სოფელ ქსოვრისში „ქართული ოცნების" სააგიტაციო პლაკატებს აკრავდნენ, რომლებიც „ნაციონალების" დავალებით სკოლის მოსწავლეებმა ჩამოხიეს. ესენი წავიდნენ, კიდევ მოიტანეს პლაკატები, გააკრეს და ბავშვებმა კიდევ ჩამოხიეს, ამიტომ გაბრაზებულებმა პროტესტის ნიშნად, „ნაციონალური მოძრაობის" შტაბში ცოცხი შეაგდეს, რის გამოც სამართალდამცავებმა დააკავეს და ოდიშვილს 25 დღიანი პატიმრობა შეუფარდეს", — განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ზურაბ კობახიძემ.

ქინძაძის საქმე სასამართლოს ჯერ არ განუხილავს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 დღის განმავლობაში რეგიონებში მასობრივად აზიანებენ და ანადგურებენ „ქართული ოცნების" საარჩევნო პლაკატებს.

*მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი*

# დუშეთში დეპუტატობის კანდიდატის ძმამ „ქართული ოცნების" წევრს სცემა

ინციდენტი მოხდა დუშეთში. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ნინო ხუციშვილის ძმამ მიშა ხუციშვილმა, „ქართული ოცნების" წევრი კახა დაიაური ცემა.

როგორც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების" დუშეთის შტაბის კოორდინატორმა დოდო ხეთაგურმა განუცხადა, ინციდენტი 21 სექტემბერს, საღამოს მოხდა. „როგორც ჩანს, მიშა ხუციშვილი ძაღლს ასეირნებდა ქუჩაში, რა დროსაც ძაღლს მანქანამ დაარტყა. ხუციშვილი მანქანის მძღოლს გაეკიდა, ჩვენი ოფისის კარი ღია იყო და ძაღლი შემოვარდა. ჩვენმა წარმომადგენლებმა მოიძიეს მიშა ხუციშვილის ტელეფონის ნომერი და დაურეკეს, თქვენი ძაღლი ცოცხალია, აქ არის, მოდით და წაიყვანეთო. მიშა მივიდა. ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დაიწყო გინება „ქართული ოცნების" მისამართით. ერთ-ერთ წევრს კახა დაიაურს ხელი ჩაავლო და გარეთ გაიყვანა, სადაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მიშა ხუციშვილის გაყვანა მისმა თანმხლებმა პირმა და ჩვენმა წევრებმა შეძლეს, რის შემდეგაც კახა დაიაური საავადმყოფოში გადავიყვანეთ. მას თვალზე სისხლჩაქცევა აქვს და ზურგზე დაჟეჟილობები. შემთხვევის ადგილზე პოლიცია ჩვენ გამოვიძახეთ. მოვიდნენ, მეორე დღეს, 22 სექტემბერს, ჩვენს წევრებს ახსნა — განმარტებები ჩამოართვეს, მაგრამ მიშა ხუციშვილი ამ დრომდე არ დაუკითხავთ. ჩემი ინფორმაციით, ის პრობაციონერია", — აღნიშნა დოდო ხეთაგურმა.

„თქვენი დედაო იგინებოდა. მე ვუთხარი, ნუ გვაგინებ მეთქი. რამდენჯერმე დამარტყა, დამაგდო და მერე კიდევ მირტყამდა. გოჩა ნამგალაურმა გაგვაშველა, რომელიც მას ახლდა თან", — განაცხადა კახა დაიაურმა.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი კომენტარისთვის ნინო ხუციშვილს დაუკავშირდა. „არ ვიცი, თქვენგან მესმის პირველად. ჩემი ძმა არც მინახავს და არც მილაპარაკია, ალბათ ტყული იქნება. გავარკვევ და მოგვიანებით გავაკეთებ კომენტარს," — განუცხადა ხუციშვილმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

*მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი*



# ლიზა ბაგრატიონი: „1 ოქტომბერს გადაწყდება ჩვენი ბედი და მივხვდებით, რისი ღირსნი ვართ"

მომღერალი ლიზა ბაგრატიონი აცხადებს, რომ წამების წინააღმდეგ ფილარმონიასთან გამართულ აქციაზე მისი მისვლის მიზანი იმ უდიდესი პროტესტის გამოხატვაა, რომელიც დღეს თითოეულ ქართველს აქვს.

მისი თქმით, ის მოუთმენლად ელოდება 1 ოქტომბერს და იმედი აქვს, რომ როგორც ხელისუფლება, ისე საზოგადოება, პროცესს არჩევნებამდე მშვიდად მიიყვანს.

„1 ოქტომბერს გადაწყდება ჩვენი ბედი. მივხვდებით, რისი ღირსნი ვართ. თუ ამის გაგრძელებას ვიმსახურებთ, დაე ვიყოთ ისე, როგორც ამ რვა წლის განმავლობაში ვიყავით" — განაცხადა ბაგრატიონმა.

მისივე თქმით, მომავალში საზოგადოება იმ სიმაღლეზე უნდა დადგეს, რომ ვერცერთმა მთავრობამ ველარ გაუბედოს ის, რასაც აქამდე უბედავდა.

*ნიუსპრესი*

# კაჭარავამ 19-წლამდელები შეკრიბა

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" შეკრება დაიწყო.

19-წლამდელები ბაზაზე 30 სექტემბრამდე იქნებიან და, ვარჯიშების პარალელურად, ქართულ კლუბებთან ტესტ-მატჩებსაც გამართავენ.

ოქტომბრის ბოლოს კაჭარავას გუნდი ხორვატიაში გაემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს ჩვენები ხორვატიის, აზერბაიჯანისა და ისლანდიის ნაკრებების წინააღმდეგ ჩაატარებენ.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მთავარმა მწვრთნელმა კახა კაჭარავამ შეკრებაზე 25 ფეხბურთელი გამოიძახა:

ოთარ კაკაბაძე, ვაჟა მათიაშვილი, საბა ლობჟანიძე, გიორგი პაპუნაშვილი, ბუდუ ზივზივაძე (ყველა დინამო), გურამ სამუშია (ზესტაფონი), ლევან გეგეჭკორი, პაპუნა ფონიავა (ორივე მერანიი), ნიკა სანდოხაძე, თემურ მარკოზაშვილი (ორივე ტორპედო), დაჩი ცნობილაძე, გაბრიელ თებიძე (ორივე მეტალურგი), გიორგი გოროზია, ბაჩო მიქავა (ორივე ლოკომოტივი), ლაშა დვალი (ოლიმპი), ალექსანდრე ადამია, ირაკლი ღერკელაშვილი (ორივე გაგრა), ბაჩო არაბული (საბურთალო), ავთო ენდელაძე (ზუგდიდი), სულხან კახიძე (კოლხეთი), გიორგი აბურჯანია (დილა), ნიკა ნარმანია (რუხი, პოლონეთი), ნიკა კაჭარავა (ვანდიში, შვეიცარია), დავით უბილავა (ვიტ ჯორჯია), ლუკა ჩხაიძე (მიუნხენ 1860, გერმანია).

სიაში ორი ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც საქართველოს ნაკრებში პირველად არიან გამოძახებული — ირაკლი ღერკელაშვილი კიევის „ობოლონში" თამაშობდა, მაგრამ ამ ზაფხულს „გაგრაში" გადავიდა. კაჭარავამ „მიუნხენ 1860"-ის ასაკობრივი გუნდის 18 წლის თავდამსხმელი ლუკა ჩხაიძეც იხმო, რომელიც ელიტრაუნდის მატჩებამდე 19-წლამდელთა წინა თაობის მწვრთნელ ოთარ კორღალიძის სიაშიც მოხვდა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობის არქონის გამო „ჯვაროსნებში" ვერ ითამაშა.

მიუნხენში დაბადებულ-გაზრდილი მოთამაშე თბილისში მალე ჩამოვა, ქართულ პასპორტს გადასცემენ, კაჭარავა კი დააკვირდება და შეაფასებს, გამოადგება თუ არა ნაკრებს.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 6. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 7. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 10. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 13. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 16. მონასტერი ხულოს რაიონში; 18. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 19. სპარსელი პოეტი; 21. რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 24. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 1. ბარსელონის ძველი სახელწოდება; 3. შამფურზე შემწვარი ხახვითა და სუნელებით შეკმაზული დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდა; 8. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 9. საცხოვრებელი კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 23. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 25. მუხის ნაყოფი; 26. ხოხობის, გნოლის, კაკაბის ბარტყი; 27. ცხვრის ქონიანი კუდი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კვრინჩხი; 7. მონარქი; 8. რომეო; 9. კუკუხო; 10. ნავთი; 13. აბელი; 15. ვისკონსინი; 18. მიკრონი; 20. პაპა; 21. მარინა; 23. დიალექტი; 24. დუბანი.

**შვეულად:** 1. შვებულება; 2. ოჩოკოჩი; 3. მირონი; 4. უნარი; 5. აქლემი; 11. თაგორი; 12. პისარო; 14. ლამა; 16. იარლიყი; 17. ეპიზოდი; 19. ნაესკაო; 21. მასნე; 22. ტაქსი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აფრა; 2. ენა; 3. ინდი; 4. ლია; 5. აუზი; 6. ურიც; 7. უნია; 8. იაკი; 9. ნიკოლა; 10. სოია; 11. აგრესია; 12. სატანა; 13. ნეო; 14. შრი; 15. რომანსი; 16. სინაპი; 17. ირიდიუმი; 18. ტორი; 19. მარიო; 20. კინო; 21. ონეშტი; 22. ალ; 23. ბორდო; 24. თორა; 25. ლიპომა; 26. ვატერლოო; 27. დნეპრი; 28. ბადრო; 29. ლემა; 30. ადოლფ; 31. სიმონია.

**სურათებზე:** აგატა კრისტი; ფაბრიციო კოლოჩინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამასკოში სირიის ოპოზიციის შეხვედრა გაიმართა



სირიის ოპოზიციური ჯგუფები ქვეყანაში არსებული მდგომარეობის განსახილველად გუშინ ქვეყნის დედაქალაქ დამასკოში შეიკრიბნენ.

სახელმწიფო არხების ცნობით, შეხვედრაში ოცზე მეტი ოპოზიციური ჯგუფი იღებდა მონაწილეობას, თუმცა მათ შორის არ იყო გამოჩენილი ოპოზიციური ჯგუფი – სირიის ეროვნული საბჭო.

სახელმწიფო ტელეარხები აღნიშნავენ, რომ შეხვედრაზე მონაწილეებმა „დიალოგის" აუცილებლობაზე ისაუბრეს.

თავად შეხვედრის მონაწილეებმა კი აღნიშნეს, რომ ისინი სირიელ სამხედროებს მოუწოდებენ გადადგნენ და თავისუფალი სირიის არმიას შეუერთდნენ.

ამასთან, სირიის ოპოზიციამ, სამთავრობო ჯარების მიერ ბოლო საარტილერიო დაბომბვების შედეგად, 220 მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვის შესახებ განაცხადა.

ადგილობრივი საკოორდინაციო კომიტეტის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დამასკოში მოკლულია 66 ადამიანი, ხომას პროვინციაში 43, ალეპოში 60, დამასკოს გარეუბანში 6 ადამიანი – ერთი ოჯახის წევრები დახოცეს.

წითელმა ჯვარმა ხომის პროვინციაში საარტილერიო დაბომბვების შედეგად. დანგრეული სახლის ნანგრევებში 35 ცხედარი აღმოაჩინა.

გაეროს ინფორმაციით, სირიაში დაპირისპირების 19 თვის განმავლობაში 20 ათასზე მეტი ადამიანია დაღუპული.

# ბერძნული საინფორმაციო საშუალებები 24 საათის განმავლობაში გაიფიცებიან




საბერძნეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები 24 საათიან გაფიცვას მართავენ. აღნიშნულით მთავრობის მიერ მკაცრი ეკონომიის ზომების გატარებას გააპროტესტებენ.

სახელმწიფო, კერძო ტელეარხები და რადიოსადგურები საინფორმაციო გამოშვებებისა და გასართობი გადაცემების ჩვენებას შეწყვეტენ. არ განახლდება ახალი ამბების ვებ-გვერდების დიდი ნაწილი. ამასთან, სამშაბათს ქვეყანაში არ გამოვა გაზეთები.

აღნიშნული გაფიცვა საყოველთაო გაფიცვამდე ორი დღით ადრე გაიმართება, რომელიც ოთხშაბათს არის დაგეგმილი.

1829 წელს საბერძნეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა ოსმალეთის იმპერიისაგან, მაგრამ ამას მოჰყვა მთელი ეპოქა პოლიტიკური გადატრიალებებისა და სამხედრო დიქტატურისა. თანამედროვე დემოკრატიული რესპუბლიკა 1975 წელს ჩამოყალიბდა. 1981 წელს იგი ევროპის კავშირის წევრი გახდა.

# აფხაზეთის ომის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გარდაიცვალა



რუსეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი 64 წლის ასაკში საავადმყოფოში ინსულტის შედეგად გარდაიცვალა. 12 სექტემბერს ის კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

გენერალი გრაჩოვი იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო სადესანტო ძალების მეთაური, მან 1993 წელს ცნობილი პუტჩის დროს, გადამწყვეტ მომენტში ბორის ელცინის მხარე დაიჭირა.

იგი იყო ჩეჩნეთის პირველი ომის დროს რუსეთის თავდაცვის მინისტრი და პირადად ხელმძღვანელობდა ჩეჩნეთთან ომს. ასევე, ცნობილია, რომ პაველ გრაჩევი აფხაზეთის ომის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო.

1992-1996 წლებში გრაჩოვი რუსეთის თავდაცვის მინისტრის პოსტზე იმყოფებოდა. გენერლის გარდაცვალების გამო უკვე გამოთქვეს მწუხარება პრეზიდენტმა პუტინმა და პრემიერმა მედვედევმა.

პაველ გრაჩოვს მოსკოვში 25 სექტემბერს დაკრძალავენ.

# სამგლოვიარო განცხადებები

მანია (მალი) ცქიტიშვილი და ეთერ რობაქიძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

**ჯუმბერ ნიკოლოზის ძე ჭუმბურიძის**

გარდაცვალებას.

ავთანდილ და ფრიდონ ჭუმბურიძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

**ჯუმბერ ნიკოლოზის ძე ჭუმბურიძის**

გარდაცვალებას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# პაკისტანში „ისლამის უცოდველობის" ავტორის მოკვლისათვის ჯილდოდ 100 ათასი დოლარი დაწესდა

პაკისტანის რკინიგზის მინისტრმა „ისლამის უცოდველობის" ავტორის მოკვლისათვის ჯილდოდ 100 ათასი დოლარი დააწესა, – ამის შესახებ „ტელეგრაფი" იუწყება.

– მას, ვინც ამ მკრეხელობის ავტორს მოკლავს, მზად ვარ, 100 ათასი დოლარი მივცე. თუ ამერიკის მთავრობა მას მე გადმომცემს, საკუთარი ხელით დავახრჩობ, თუნდაც ამის გამო მერე სახრჩობელაზე ასვლა მომიწიოს. მოვუწოდებ ჩემს მოძმეებს „თალიბანიდან" და „ალ ქაიდადან", შემომიერთდნენ ამ წმინდა მისიაში, – განაცხადა პაკისტანის რკინიგზის მინისტრმა გულამ აჰმედ ბილურიმ პეშავარში გამართულ პრესკონფერენციაზე.



ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაგმო პაკისტანელი პოლიტიკოსის განცხადება. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პაკისტანელი მინისტრის გულამ აჰმად ბილურის ინიციატივას „არაკორექტული და დაპირისპირების კიდევ უფრო გამამწვავებელი" უწოდა.

შეგახსენებთ, რომ წინასწარმეტყველ მუჰამედზე გადაღებულ ფილმს არაერთ ქვეყანაში აპროტესტებენ, რასაც უკვე შეეწირა ათობით ადამიანი.

– ამერიკის პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმაც უკვე განაცხადეს, რომ აღნიშნული ვიდეო ამაზრზენი და შეურაცხმყოფელია. თუმცა, ეს არ ამართლებს ძალადობას და ლიდერებმა ყველაფერი უნდა ილონონ, რათა წინ აღუდგნენ ძალადობას. აქედან გამომდინარე ბილურის განცხადება ჩვენ არაკორექტულად მიგვაჩნია. აღვნიშნავთ, რომ პაკისტანის პრემიერ-მინისტრის კანცელარიამ მისი კომენტარისაგან თავი შორს დაიჭირა, – აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა „ბი-ბი-სი-სთან" ინტერვიუში.

პაკისტანში, ანტიისლამური ფილმის წინააღმდეგ გამართული ბოლო საპროტესტო გამოსვლისას, დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

პაკისტაწის ერთ-ერთი ტელეარხის ცნობით, მათი ერთი თანამშრომელი პეშავარში პოლიციის გასროლილ ტყვიას ემსხვერპლა. პოლიცია ბრბოს დაშოშმინებას ცდილობდა, რომელიც კინოთეატრის გადაწვას შეეცადა.

დემონსტრანტებმა გადაწვეს მანქანები და პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადთან, არა ერთი შენობა დააზიანეს.

გუშინ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ანტი-ისლამური ფილმი და ამ ფილმთან დაკავშირებული ძალადობა გააკრიტიკა.

– პირველ რიგში ჩვენ ვგმობთ ყველა იმ ქმედებას, რომელიც შეურაცხყოფს ხალხის რელიგიასა და მათ გრძნობებს. ამასთან, ჩვენ ექსტრემიზმსაც ვგმობთ. ცხადია, რაც მოხდა, სიმახინჯეა. ამას სიტყვის თავისუფლებასთან არავითარი კავშირი არ აქვს, – განაცხადა აჰმადინეჯადმა „სი-ენ-ენთან" ინტერვიუში.

პირს მორგანთან ინტერვიუში აჰმადინეჯადმა იმაზეც ისაუბრა, რას მოიმოქმედებს ირანი ისრაელის მხრიდან დარტყმის შემთხვევაში: „ყველა ქვეყანას გააჩნია უფლება და სურვილი დაიცვას საკუთარი თავი".

ამასთან, კვირას ირანელმა გენერალმა ჰუსეინ სალამმა განაცხადა, რომ თავდასხმის შემთხვევაში ირანს ისრაელის დამარცხება 24 საათში შეეძლება.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთი შიშობს რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, რასთან დაკავშირებითაც ამერიკამ და ევროკავშირმა ქვეყანას მკაცრი სანქციების დაუწესეს. თავად ირანი აღნიშნულს უარყოფს და აცხადებს, რომ მას ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება. ისრაელი ირანის შესაჩერებლად ქვეყნის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმას უჭერს მხარს, აღნიშნულს ამ დროისათვის ამერიკა ეწინააღმდეგება.

# ბელარუსის პარლამენტში არც ერთი ოპოზიციონერი არ შესულა

ბელარუსის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის განცხადებით, პარლამენტში ოპოზიციის არც ერთი კანდიდატი არ შესულა.

კომისიის ცნობით, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 74,3 %-მა მიიღო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის ლიდია ერმოშინას განცხადებით, არჩევნების პირველ ტურში პარლამენტის 110 დეპუტატიდან 109 აირჩიეს.

მეორე ტური მხოლოდ გომელსკის მხარეში ჩატარდება. ადგილობრივი დამკვირვებლები აცხადებენ, რომ მრავალ საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის დასწრება მნიშვნელოვნადაა გაბერილი.

საარჩევნო უბანზე მისულმა ქვეყნის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა: „ჩვენთან ორჯერ მეტი ადამიანი იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ვიდრე ფინეთში. თუ ცოტა იღებს ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობას, გამოდის რომ ხელისუფლების არ სწამთ. ჩვენს საზოგადოებას კი საკუთარი პერსპექტივებისა და მომავლის სწამს. სახელმწიფოში, სადაც არჩევნები მშვიდად ტარდება ეს დიდი ბედნიერებაა. ჩვენ არ გვჭირდება რევოლუციები და დაპირისპირებები", – აღნიშნა ლუკაშენკომ.

„ბი-ბი-სი-ს" ცნობით, არჩევნების წინასწარი შედეგები რამდენიმე საათში გახდება ცნობილი.

საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიცია მონაწილეობას არ იღებს. წამყვანმა ოპოზიციურმა პარტიებმა მთავრობას პოლიტიკური დევნის, დაპატიმრებების და მოსალოდნელი გაყალბებების გამო ბოიკოტი გამოუცხადა.

ალექსანდრე ლუკაშენკო ბელორუსს უკვე 18 წელიწადია, 1994 წლის შემდეგ მართავს. 2010 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე მისმა ხელახალმა გამარჯვებამ ძლიერი საპროტესტო ტალღა გამოიწვია, თუმცა, მთავრობამ ის სასტიკად ჩაახშო. ოპოზიცია ახლანდელ საპარლამენტო არჩევნებზე თავიდან დიდ იმედებს ამყარებდა. მოგვიანებით, გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის 35-დან 33 კანდიდატს ტელევიზიით გამოჩენა აუკრძალეს. მათი საარჩევნო პროგრამის გამოქვეყნება კი მთავრობის მიერ კონტროლირებადმა მედიამ აკრძალა.

შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა ბელორუსს ადამიანის უფლებების დარღვევების გამო ეკონომიკური და სავიზო სანქციები დააკისრა. ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციამ ქვეყანაში 200-მდე დამკვირვებელი გააგზავნა, თუმცა ორ მათგანს ქვეყანაში შესვლა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აეკრძალა.



ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია, რომელიც ბელორუსში საპარლამენტო არჩევნებს აკვირდებოდა, ჩატარებული არჩევნები არ აღიარა დემოკრატიულად და სამართლიანად.

ამის შესახებ პრესკონფერენციაზე მისიის კოორდინატორმა მათეო მეკაჩიმ განაცხადა. „ამ არჩევნებზე დასაწყისშივე არ არსებობდა კონკურენცია", – ციტირებს „როიტერი" მეკაჩის სიტყვებს.

თავის მხრივ, დსთ-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა სერგეი ლებედევმა განაცხადა, რომ ბელორუსში არჩევნები „ღიად და დემოკრატიულად" ჩატარდა.

ბელორუსმა 1918-19 წლებში მოიპოვა დამოუკიდებლობა რუსეთისაგან, 1941-44 წლებში ოკუპირებული იყო ფაშისტური გერმანიის მიერ. 1945 წელს გახდა გაეროს წევრი. 1991 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა სსრ კავშირისაგან. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – შეიქმნა მინსკში. 1999 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას რუსეთ-ბელარუსის კავშირის შექმნის შესახებ.

1995 წლიდან პრეზიდენტ ლუკაშენკოს ხელმძღვანელობით ქვეყანა დაადგა „საბაზრო სოციალიზმის" მშენებლობის გზას, რაც საშუალებას იძლევა ფასების პოლიტიკასა და კერძო სექტორზე სახელმწიფო კონტროლისა.

მოამზადა გურა მამულაშვილმა

# ჩინელი მაღალჩინოსანი ავღანეთს ეწვია



ჩინელი მაღალჩინოსანი მოულოდნელი ვიზიტით ავღანეთში ჩავიდა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის შეხვდა. ჩინური სახელმწიფო სააგენტოების ცნობით, მხარეებმა არა ერთ საკითხზე იმსჯელეს, მათ შორის ინვესტიციებზე, ორმხრივ ვაჭრობაზე, ტერორიზმსა და ნარკოტიკებით ვაჭრობაზე.

1955 წლიდან მოყოლებული ეს პირველი შემთხვევა იყო როდესაც ქვეყანას ჩინელი მაღალჩინოსანი ეწვია. კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრის ზუ იონგკანგის ვიზიტი უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე გასაიდუმლოებული იყო.

# TV პროგრამა

სამშაბათი 25 სექტემბერი

**საზოგადოებრივი არხი** 07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 დოკ.ფ. „დაკარგული კიდობანის ძიება„. 09.10 ან. ფ. „მოუსვენარი ბავშვები პარიზში„. 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 მოამბე 10.30 მხ.ფ. „კუნძულეთი". 12.50 მხ.ფ. „სიყვარული მოულოდნელად გეწვევა" 15.00 სერ. „დეტექტივი„ 17.00 მედინფო. 17.30, 06.30 დოკ. ფ. „ბრძოლა ევერესტის დასაპყრობლად„ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „დღეები ლეონესთან ერთად„ 21.00 სერ. „დეტექტივი„ 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან. 23.00 მხ.ფ. „მწუხრი„ (პ. ნიუმანი) 02.55 მხ.ფ. „აგატა აგატას წინააღმდეგ„

**მეორე არხი** 08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.55 დოკ.ფ. „არჩევნების დღე„. 14.00, 16.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მხ.ფ. „გოგონა წყლიდან„

**იმედი** 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, 05.00 ქრონიკა. 07.35, 08.10, 09.15 იმედის დილა. 10.05 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.30 ქრონიკა + 11.50 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 დღის შოუ. 14.40 ჰამის შოუ. 15.40 სერ. „მოჯადოებული„ 17.40 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ. 23.30 ცეკვავენ ვარსკვლავები. 01.30 ყველაფერი Miss შესახებ. 00.50 ექსტრასენსთა ბრძოლა. 03.15 მხ.ფ. „მინდა გახსოვდე„ (პ. ბროსნანი) 05.15 მხ.ფ. „ნიმფა„. 07.00 მუსიკა.

**რუსთავი 2** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ. „ქალის მსხვერპლი". 11.00 სერ. „ეჭვი და სიყვარული". 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები. 13.00 შუა დღე. 15.30 ვანოს შოუ. 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 1-სერ. 21.50 ეროვნული ლატარეა. 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 00.30 MTV PUNK'D 01.30 მხ.ფ. (ტიტ.) 03.00 კურიერის დაიჯესტი.

**მზე** 08.00 ან. ფ. „არგაი„. 08.55 სერ. „ჩემი შეყვარებული„ 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფ. 12.20 სერ. „შტრაუსების დინასტია„ 13.00 მხ. ფ. 15.15 მხ. ფ. 17.10 სერ. „ვერონიკა მარსი„ 18.00 მხ. ფ. 20.00 სერ. „ტყუპები„ 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე„ 22.00 მხ. ფ. 23.40 მხ. ფ. 01.55 მხ. ფ.

**აჭარა** 08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 03.00 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 დოკ. ფ. 10.30 დოკ. ფ. 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „საგა„ 12.50, 19.35 სერიალი 13.50 მუსიკა 15.15 დოკ. ფ. 16.00 დოკ. ფ. 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფ. 23.00 დოკ. ფ. „ისინი„ 23.30 მხ. ფ. „ჩვენს მერე წარღვნაც ყოფილა„ 01.00 მხ. ფ. „მსჯელობა მკვლელობაზე„

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი. 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური. 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი. 10.35 მოკ. ფ. „წითელი ბუშტი„. 11.10 ლექსით ქებათა ქება. 11.15 სალვთისმეტყველო საუბრებიყ 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი. 12.05 ამინდი. 12.15 მხ. ფ. „ხევსურული ბალადა„. 13.40 კონცერტი ნიჭიერთა ათწლედი. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10, 00.35 განთიადის სტუმარი. 15.40 დოკ. ფ. „მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად„. 16.05 დები ტრევისის საოცარი სახლი. 16.30 დოკ. ფ. „ველური ბუნება„. 17.00 დოკ. ფ. „კვალი ნათელი„. 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.20 დიდ ხარ შენ, უფალო. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 ჩვენი ტრაპეზი. 19.30 დროის ჩანაწერები. 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.25 დოკ. ფ. „წმინდა მღვდელმთავარი გიორგი ჭყონდიდელი„. 21.35 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. 22.25 მგზავრები წუთისოფლისა. 23.00 სალამოს ლოცვა. 23.15 დოკ. ფ. „ჯვარსახოვანი გზა„ 1-ნაწ. 01.00 ერთსულოვნების სალონი. 01.50 კარაბადინი. 02.15 ირაო.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**2% სექტემბერი**

აშშ დოლარი — 1,6461
ევრო —2,1261
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779
რუსული რუბლი — 0,0512




აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 24-27, ღამით — 10-18

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 26-30, ღამით — 14-19

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, დღისით — 20-22, ღამით — 6-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 სექტემბრიდან

„ახალ თაობასთან“

ერთად

უნიკალური გამოცემა

საქართველოს ისტორია

ერთ წიგნად!

დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, გამიზნული როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის. მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2009 წლამდე.

## უშუქობა ევროპაში



21-ე საუკუნეში შუაგულ ევროპაში ორი მატჩი გადაიდო. მიზეზები კი ისეთია, გაოცდებით.

მადრიდის გარეუბანში, „ესტადიო დე ვალესკასზე“, სადაც საშინაო მატჩებს „რაიო ვალეკანო“ ატარებს, განათების ტექნიკური პრობლემების გამო მადრიდის „რეალსა“ და „რაიო ვალეკანოს“ შორის 23 სექტემბერს გასამართი მატჩი ვერ ჩატარდა.

სტადიონის ტრიბუნებზე შეკრებილი მაყურებელი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა – განათების სისტემა ვერაფრით ჩართეს, მერე აღმოჩნდა, რომ ვიღაცას კაბელები გადაუჭრია.

ეს პრობლემა იმით მოგვარდა, რომ მატჩი ერთი დღით გადაიდო და გუშინ გვიან ჩატარდა.

სერია ა-ს 23 სექტემბერს გასამართი შეხვედრა „კალიარისა“ და „რომას“ შორის კი საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო გადაიდო. ეს გადაწყვეტილება კალიარის პრეფექტურისა და ადგილობრივი პოლიციის სხდომაზე მიიღეს.

თავიდან გადაწყვიტეს, მატჩი ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაეტარებინათ, თუმცა „კალიარის“ პრეზიდენტმა მასიმო ჩილინომ აბონემენტების მქონე ქომაგებს მოუწოდა, სტადიონზე მაინც მოსულიყვნენ, მაგრამ ბოლოს მატჩი მაინც გადადეს.

მ. ჟ.

## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი
2: სექტემბრისთვის

**წარმატებული დღეა**

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. კურო – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. ტყუპები – ახალი პროექტი გაამართლებს. კირჩხიბი – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. ლომი – თქვენი საქმე წინ, წინ მიდის! ქალწული – სიახლე გწყურიათ, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. სასწორი – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. ღრიანკალი – სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. მშვილდოსანი – მთელ ფულს დღეს ნუ დახარჯავთ, ცოტა შემოინახეთ. თხის რქა – მგრძნობიარე გახდით, ეს კარგია. მერწყული – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. თევზები – არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. 50-იანი წლების პოპულარული საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. ძველებური, დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. ვაზის, ღვინის პატივსაცემი დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალური მთავრების სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში; 8. უკრაინელი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. სხვადასხვა ფერის მინის მსგავსი არაგამჭვირვალე მასა ლითონის საგნების დასაფარავად, ემალი; 12. ძმარში ჩადებული მოხარშული ღორის ჩლიქები; 14. მწვანით მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ბულგარეთში მდებარე ქართული მონასტერი; 6. ავადმყოფური ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 11. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 13. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 15. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. წითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 19. შარლ გუნოს ოპერა; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა




## იუმორი



***

ტიპი ექიმთან მივიდა:

— აბა, რას უჩივით?

— მთავრობას...

***

— ამქვეყნად ბევრი კარგი გოგონაა, მაგრამ რატომღაც ცუდები გვიზიდავენ...

***

— ჰა, აპირებ მუშაობას?

— ვაპირებ.

— მაშ, წამოდი,

— წადი...

***

— ეს იმათ აქვთ ჩვეულებრივი და მეკობრული პროგრამები, ჩვენთან პროგრამა ჩვეულებრივი ან ლიცენზიურია...

***

ავტომობილმა დიდი სიჩქარით გაიარა ამკრძალავი ნიშნის ქვეშ, სამი გზაჯვარედინი წითელ შუქნიშანზე გადაკვეთა, შემხვედრ ზოლზე გადავიდა, ორ ავტობუსს შორის გაძვრა.

პატრული დაედევნა, სირენები ჩართო, როგორც იქნა, სამმა მანქანამ გზა მოუჭრა და შეაჩერა. საჭესთან მჯდარმა ქალმა ძრავა გამორთო და გვერდით მჯდარ, მიტკალივით გათეთრებულ ქმარს ეკითხება:

— ჰა, გაგიარა სლოკინმა?

***

— ოფიციანტ, ჩანგალი მომიტანეთ.

— ინებეთ, ერთი ლარი.

— ბინძურია!

— სუფთა ხუთი ლარი ღირს.

— რა უმსგავსობაა.

— უმსგავსობა 200 ლარი ღირს საათში.

— მე თქვენ ახლა...

— საათში 700 ლარი დაგიჯდებათ.

***

კბილის ექიმმა საბურღი მანქანა აამუშავა:

— გახსოვს, სკოლაში ჩემ უკან რომ იჯექი და სულ თმას მაწიწკნიდი?

გ. თ.

## „ჩვენებურებმა“ ლევილში იმღერეს




ეკა ირემაშვილი

**ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჩვენებურებმა" ქართული სათვისტომოს 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. საფრანგეთის ქალაქ ლევილში ანსამბლის წევრებმა წარმოადგინეს თავიანთი რეპერტუარი და „შეფიცულთა" სიმღერა, რომელიც დაიწერა მეტეხის ციხეში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი სიკვდილმისჯილი ქართველი მეომრების მიერ 1924 წლის აჯანყების მოვლენებთან დაკავშირებით. ამ უნიკალური პროექტის შესახებ „ჩვენებურები" ქართველ საზოგადოებას ორიოდე კვირის წინ აცნობებდნენ.**

სიმღერა „ჩვენებურების“ წევრებს შეასწავლა საფრანგეთში მოღვაწე ქართველმა ემიგრანტმა ოთარ პატარიძემ, რომელიც 1962 წლიდან საფრანგეთში ხელმძღვანელობდა ემიგრანტი ქართველებისგან შემდგარ ფოლკლორულ ანსამბლ „მერანს“. ღონისძიების ფარგლებში „ჩვენებურებმა“ ანსამბლ „მერანის“ წევრებთან ერთად დაგეგმეს, მათი რეპერტუარიდან რამდენიმე სიმღერაც შეესრულებინათ.

ფოლკლორულმა ჯგუფმა „ჩვენებურებმა“ ამ პროექტის შესახებ დაარსებიდან 11 წლის თავზე განაცხადა. ამავე პროექტის ფარგლებში საფრანგეთში 1962 წლიდან მოქმედ ანსამბლ „მერანის“ ჯერ კიდევ ცოცხალ წევრებთან ერთად „ჩვენებურებს“ საერთო ალბომის ჩაწერა აქვთ გადაწყვეტილი. ალბომში, „შეფიცულთა“ სიმღერის გარდა, ის სიმღერებიც შევა, რომლებსაც ემიგრანტთა ანსამბლი გასულ საუკუნეში საფრანგეთში ქმნიდა და ასრულებდა. აღნიშნული სიმღერები ქართველი საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. ამ უმნიშვნელო-

გაგრძელება მე-8 გვერდზე